

# თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

წიგნი, საზოგადოებრივი გაერთიანება “თურქული სამყაროს ინფოს” მიერ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული არა სამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდამჭერი საბჭოს “აზერბაიჯან-საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის” სახელწოდების პროექტის ფინანსური თანადგომის საფუძველზე იქნა გამოცემული.

შპს „გამომცემლობა ასო“  
ბაქო-2015

# თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

*კონსულტანტი:*  
პროფესორი ნიზამი ჯაფაროვი

*პროექტის ხელმძღვანელი:*  
დაიანათ ოსმანლი

*რედაქტორი:*  
ნელი მამედოვი

*მხატვრული რედაქტორი:*  
რაფიკ გუმბათი, რაშიდ ფახრალი,

საზოგადოებრივი გაერთიანება “თურქული სამყაროს  
ინფო”, თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

შპს “გამომცემლობა ასო” ბაქო, 2015, 152 გვ.

© შპს „გამომცემლობა ასო“ ბაქო, 2015.

ახალი პროექტი,  
რომელიც მეგობრული  
ურთიერთობისათვის  
ძღვენი იქნება



**ნიზამი ჯაფაროვი**  
*პროფესორი, აზერბაიჯანის  
ემა-ის წევრკორესპოდენტი,  
სახალხო დეპუტატი*

აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხი საზიარო ბედის წილხვედრია, რომელიც ყოველთვის მეგობრობით დაწყვილებულა. საქართველოს განვითარებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში აზერბაიჯანელები მუდამ იყვნენ ქართველების გვერდით და იქნებიან კიდევ .

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

ლიტერატურული ურთიერთობა, ეს აგრეთვე ხალხებს შორის ეროვნულ–სულიერი ღირებულებების შერწყმას, ურთიერგაცნობიერებასაც ნიშნავს, ამისათვის წარსულში მრავალი საქმეა გაკეთებული, ურთიერთობათა ისტორიის შესახებ მრავალი მონოგრაფია და წიგნი დაწერილა. მაგრამ, ეს ისტორიაა... დღევნდელი ლიტერატურული ურთიერთობა კი განახლებას (განვითარებას!) მოითხოვს.

ამ საჭირობოროტო მისიის შესრულება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდამჭერი საბჭოს თანადგომით “თურქული სამყაროს ინფომ” თავის თავზე აიღო. 2015 წელს “აზერბაიჯან–საქართველოს ლიტერატურულ–კულტურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის” სახელწოდების ახალი პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფოს თანადგომა დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

პროექტის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი, პოეტი დაიანათ ოსმანლი გახლავთ. მან, თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზიის წარმომადგენლები (არა სრულად) ქართულ ენაზე გადაათარგმნინა და ძალზედ მნიშვნელოვანი ანთოლოგია მოამზადა. ეს არის თანამედროვე აზერბაიჯანულ პოეტთა პირ-

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

ველი ანთოლოგია ქართულ ენაზე. და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, როგორც ამ საქმის გაგრძელება ქართველ პოეტთა ლექსებიც გადმოთარგმნილი იქნება აზერბაიჯანულ ენაზე .

აზერბაიჯანელ და ქართველ პოეტთა ლიტერატურული ურთიერთობა ყოველთვის სულიერი მეგობრობით—ძმობით დასრულდებულა. ამის ნიმუშად შეგვიძლია სამედ ვურდუნისა და გიორგი ლეონიძის მეგობრობა გავიხსენოთ.

თავის დროზე დილარა ალიევამ, აფლათუნ სარაჩლიმ, ვალეკ ჰაჯილარმა,ისა ისმაილზადემ, არიფ მუსტაფაზადემ, აივაზ ალლაზოღლიმ, იმირ მამედლიმ და სხ. ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნეს. ქართველი კლასიკოსის ვაჟა ფშაველას “გოგოთურ და აფშინა” ოქტაი ქაზუმოვისა და რაშიდ ფახრალის მიერ იქნა თარგმნილი , აკაკი წერეთლის, დავით შემოქმედელის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა ლექსები იმირ მამედლის მიერ აზერბაიჯანულად არის თარგმნილი. რა თქმა უნდა ესენი ძალზედ კარგია, მაგრამ ამას დღემდე სისტემატიური სახე არ მიუღია.

აზერბაიჯანული ხალხური ლიტერატურის ნიმუშები ეპოსი “ქოროღლი” “1001 ბაიათი” ზეზვა მედულაშვილმა თარგმნა ქართულად. ლეილა ერაძესაც მრავალი ნაწარმოები აქვს გადაქა-

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

რთულებული, ეს ყოველივე იმედს და სტიმულს იძლევა იმისათვის, რომ მომავალშიც გავაგრძელოთ და განვახორციელოთ ეს ურთიერთობა...

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ ორი ხალხის ლიტერატურულ ურთიერთობაში ჯერ კიდევ მრავალი საქმეა გასაკეთებელი. ამ თვალსაზრისით თანამედროვე აზერბაიჯანულ პოეტთა ანთოლოგიის ქართულად გამოცემა, ამ ურთიერთობათა განვითარების გზაზე ძალზედ აუცილებელი და მნიშვნელოვანი მოვლენაა.



**მეთლუბ აღა**

*დაიბადა 1975 წელს. დაამთავრა ბაქოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტი.გამოცემული აქვს ლექსების 2  
კრებული.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

გადაიღო, აღარ წვიმს,  
სიჩუმემ გზა დააგო .  
და სინათლემ ღამესთან  
კიდევ ერთხელ წააგო.

...მაგიდაზე სურათი  
შენი, თითქოს იძროდა  
ოთახში კი ჯერ ისევ  
შენი სითბო იგრძნობა...

...ალბათ მოგეხსენება,  
ჟამი მიიწურება,  
ეკვინოც გინდა იყავი,  
მეორდება ბუნება...

...ჩამოცვივდა ნელი–ნელ  
ყველა ძველი ამბავი...  
მოგონებით იწყება  
სიკვდილის ის ანბანი...

...დღეს თუ შენ აპატიე  
ხვალ შენ გაპატიებენ...  
და წიგნი რომ გაჩუქე  
წასაკითხად ინებე...



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

შენით ვათენ–ვალამებ,  
არც ნაკლები,არც მეტი...  
შენს სახელს სწერს მხოლოდღა  
ასო ოცდა თორმეტი...

...მხოლოდ შენ ერთს გიხდება  
ფარჩაა თუ ქსოვილი...  
ლექსია თუ მოთხრობა  
შენ გეხება ყოველი...

საუბრობენ და სიტყვებს  
შენს ნათელში ფანტავენ  
მხატვართ რაც უნდა ხატონ,  
მხოლოდ ერთ ქალს ხატავენ...

ყველგან შენ ხარ,ლამაზო,  
ეს ქვეყანაც შენა ხარ,  
შენ ხარ სითბო, სიცოვე  
კარში ქარის ქშენა ხარ...

...ადრე ერთხელ გითხარი,  
შეგახსენებ ხანდა–ხან:  
სარკეში რომ უყურებ  
შენ ის ქალი არა ხარ...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ჭერს უყურებ ,ეგ არის  
მხოლოდ შენი დარდიო.  
არღვევს ზოგჯერ სიჩუმეს  
მხოლოდ ძველი რადიო.

ბრუნავს ციფერბოლატი,  
როგორც ძველი ამბები...  
ოფლშეპარულ მუჭაში კი  
დაგავიწყდა აბები...

ფოტოები ავსებენ  
მოგონების ფულუროს,  
ძირს გაქვს მიმოზნეული–  
სევდიან ფილმ უყურებ...

ამ შავ–თეთრი სინემას  
ყურება არ გბეზრდება.  
ეს მთავარი გმირი კი  
არც კვდება, არც ბერდება.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

გარეთ შემოდგომაა,  
ცა დაგვყურება ზემლდან.  
ეს რომ არ ყოფილიყო,  
ვითომ რა მოხდებოდა?!

თავი ყვითელ ფოთოლში  
შევიცანი ახლიდან.  
ეჰ,სად არის მათლაბი?  
გული ისევ დაღონდა...

არაფერი არა მაქვს,  
ყველაფერი გათავდა.  
მორჩა ჟამი ცხოვრების,  
ჟამი ტყუილ – მართალთა...

შენზეც აღარა ვფიქრობ,  
დგას გრძნობითი დაისი.  
გნახავ, შეგეკითხები,  
ისევ არის ფაიზი?

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

მგონი გუშინ მოგწერე,  
ისევ ცივა ქალაქში,  
ქარია და წვიმაა,  
სხვა ნაწვიმარს არა შლის...

...ზოგი აღწევს დილამდე  
ღამის ძველი სტუმარი,  
ტყუილ-მართალს ვერ არჩევ,  
ის,რაც არი,სულ არი...

...ფოტოს ვუმზერ და ეს შენ  
ხარ კიდევ და არცა ხარ.  
კარზე კაკუნს გავიგებ,  
შენ თუ არ ხარ,არც წახვალ...

ჩემი დარდი იკავებს  
მთელი სახლის ნახევარს...  
რომც მოხვიდე,ვერ მიცნობ,  
მკვდარი არ გინახივარ...

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**ნაზიმ შახი**

*დაიბადა 1974 წელს. დაამთავრა აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ფერწერის ფაკულტეტი. მხატვართა კავშირის წევრია.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### წაუკითხავი წიგნი ვარ

ამოუცნობი გამოცანა ვარ,  
წაუკითხავი წიგნი ვარ.  
დაუხატავი ტილო ვარ—  
შეუქმნელი საკუთარი პორტრეტის  
ჩარჩოში ჩასმულ შემოწერილობას  
გავცდი და ყოველ ღამე  
ლანდად დავეხეტები ქალაქში—  
ქუჩის ბინადარ, უსახლკაროსავით  
შევეყუჟე ერთ კუთხეს...

\*\*\*

ლოცვა სანამ ცას მიაღწევდა  
ქალაქს შერცხვა დილის აზანის,  
ბონჟურ,მუსიო გოგენ,  
თუ გაიწევი და ადგილს მომცემ  
მიხმე და მოვალ, გეწვევი  
ჩემს გადახნულ ძილში  
ბოლო მგზავრობისათვის.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

\*\*\*

უცხოური სარეკლამო დაფები  
უსულო მანეკენთა მზერა  
თვითმკვლელობისკენ მიმათრევენ  
მონა ლიზას ღიმილით,  
არა, სისხლად თუ არ დავიდვრები,  
ამ ქალაქს ვერ ვუღალატებ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ლამით მთვარეს შესცქერიან  
ყელზე ვერცხლის დამლადაკიდული  
შამანები და სურვილს ჩაუთქვამენ.  
მე კი მთვარის ნათელს ყოველღამე  
კოვზით ვსვამ,  
ვსვამ ფარულად.  
მთვარე ჩემში ამოდის  
და ჩემს სიზმრებს ერევა.  
მთვარის ნათელი ვარ –  
ნუ სდუმხართ, ილოცეთ...

*თარგმანი ნელი მამედოვის*





**სეჰერ ახმედი**

*დაიბადა 1972 წელს, დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, სამი წიგნის ავტორია, არის მწერალთა კავშირის წევრი, იყო პრეზიდენტის სტჰენდიანტი.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

წყლებსა და ნავსადგურებში  
იძირება გემთა მზერანი,  
მე კი ვშიშობ, რომ,  
ზღვაში არ ჩადნეს სანაპირონი.

პარკში შიშვლდებიან ხეები,  
ბილიკს რეცხავენ წვიმები,  
მე კი ვშიშობ, რომ, არ შესცივდეთ  
მარტო დარჩენილ ძველ სკამებს.

მარტო ყოფნისას თუ სხვებთან ერთად  
მხნედ ყოფნისა თუ ავად ყოფნისას,  
მუდამ შენთან ვარ, ცხოვრებავ,  
საბედნიეროდ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ყველა დარდი რომ ჩაქრება  
რწმენაც რომ დაგეკარგება.  
ხეებისა და ჩიტებისათვის  
სათქმელიც დაგიმთავრდება.

მაშინ  
წერილები შენს სახელს,  
სარკეები შენს სახეს, რომ მიივიწყებენ  
შენი სული, სიყვარულის ლექსის მსგავსს  
გაზაფხულს ვეღარ წაიღილინებს.  
განშორების დღეს აღარ გვამცნობს ფაიზი,  
და ზამთარს მარტოობის სუნი აღარ ექნება.

სიკვდილის შემდეგ წლები, რომ გავა,  
ზეცისაგან მაძღარი შენი სული,  
გიჟივით შეიყვარებს სიცოცხლეს,  
რომელიც ერთ დროს მობეზრებული ჰქონდა.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ჟამი სევდასავით  
ტრიალებს ჩვენს ფიქრებში,  
ახალ ფურცლის ჩასაწერად  
ადგილს ვეღარ პოულობს.

თვალს გავახელთ, ვიხილავთ  
წლები, წლები გასულა.  
დრონი კვლავ ჩაივლიან  
დღეთა მატარებლებით.

ნელი–ნელ გავყვითლდებით,  
შემოდგომის ხაზანით,  
ჭაღარისა შერცხვებათ  
თოვლსაც არავინ გვესვრის,

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

შენ ხარ კარგი მტერი და,  
მე კი კარგი მოყვარე,  
შენ გაბუტვა გიყვარს და ,  
მე უმაღ გირიგდები.

შენ ძალიან გავხარ მოძღვარს,  
მე კი დამნაშავესა,  
შენ ღუმილი გიყვარს ძლიერ,  
მე კი სულ არ ვჩუმდები.

ეს თამაში, ამ წესებით  
როგორ უნდა დასრულდეს,  
გამწარება გიყვარს ჩემი,  
მე, შენი თმის სურნელი.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

სამყაროს ხატვა მინდოდა  
ცხოვრების.  
სიხარულის, იმედისა და,  
განცდების.  
ავდექი და სიმარტოვე  
დავხატე.  
მონატრებულ, მტკერ დადებულ სახეზე  
გრძელი ცრემლი მოვხაზე.

*თარგმანი ნელი მამედოვის*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---



### აქბარ გოშალი

*დაიბადა 1973 წელს. დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფოს მართვის აკადემია.*

*მსოფლიოს თურქ ახალგაზრდათა გაერთიანების თავმჯდომარეა. გამოცემული აქვს ერთი პოეტური და ერთი პროზაული კრებული.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ქვას ჩავფლავთ მიწაში,  
წარწერა ექნება ქვას...  
წარწერაში გულს,  
გულში დარდს ჩავდებთ -  
და ის მიწაში  
დარჩება ეგრე...  
და ერთ დღეს დარდი  
ქვაზე ამოვა,  
და გამოჩნდება ქვაზე წარწერა,  
წარწერაზე მფეთქავი გული...  
დარდი მოივლის დუნიას ასე:  
ხმელზე,  
ქვა-ღორღზე,  
ძველ წარწერებზე,  
მფეთქავ გულებში...  
ვიტყვი, წავიდე,  
ჩემი მიწის დარდი დავწერო,  
სანამ გულნი არ გაქვავებულან...



### საქმე ისევ ცუდად მიმდის

საქმე ისევ ცუდად მიმდის,  
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.  
ათას მილზე დედაჩემი  
ეკ, ისევ ცუდ სიზმრებს ხედავს...  
საქმე ისევ ცუდად მიდის,  
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.  
დაკოჟრილი ხელი მამას  
მიუღია შუბლზე ალბათ,  
და ყველა გრძნობს,  
ო, ამგვარი პოზის საფრთხეს.  
საქმე ისევ ცუდად მიმდის,  
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.  
და იღვიძებს ჩემი უცებ  
და იქვე ჩემ ფოტოს ლოცავს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

საქმე ისევ ცუდად მიმდის,  
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.  
ჩემი ძმა კვლავ ყველას უბღვერს,  
ითარსება ყველაფერი.  
საქმე ისევ ცუდად მიმდის,  
მე ჩემ თავზე არც კი ვფიქრობ.  
აქ ვზივარ და ვუმზერ აკვანს  
და აკვანში ჩემსავ ქორფას.  
დედამისიც მსაყვედურობს:  
მძინარე ბავშვს ნუ დასცქერი!  
... ღმერთო, ღმერთო, შემომხედე.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

*(ჩემს ძმას და მეგობარს)*

... ერთხელ, ალბათ ერთხელ  
არ მოხდება მოსახდენი,  
მოხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს.

... არ გვისროლია ტყვია ვინმესთვის,  
და არ უსვრიათ ჩვენთვისაც ტყვია  
ალბათ არა ღირს სიცოცხლე ჩირად  
სადაც გზა არ აქვს  
მთლად ჭაბუკ სიკვდილს.  
ვიცი, ისედაც  
არ მოხდება მოსახდენი,  
მოხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს.  
არც ჩვენ გვესროლეს რომ მოვეკალით,  
არც ჩვენ გვისვრია ვინმესთვის ტყვია.

სიკვდილი ვუთხარ სიცოცხლეს ერთხელ,  
და თავად ჩემ თავს ვუთხარი ესეც:  
სიცოცხლე მიდის სიკვდილისაკენ...  
თითო სიკვდილი თითო ჯარს მიჰყავს,  
და ვის რა მიაქვს ამ დუნიიდან..?  
დაე თქვან, იმას  
წუთისოფლიდან ტყვია მიაქვს  
მარადიულში.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

შენი დალალი მოფერებას და  
თეთრი ხელები ამბორსაც არ ემორჩილება.  
ფეხებში წყალი რომ შეგასხურო,  
შენი მკერდიდან  
ოცნებაც კი არ ამოხეთქავს.

გულით რომ სწვდები,  
იმ დარდს ხელით ვერ სწვდები, რა ვქნათ?  
გიყურებ, ცრემლი მოგადგა თვალზე,  
სიყვარულის დრო არ დაგდომია...

შენ ხარ პეპელა  
სიყვარულის ჟამისკენ მფრენი.  
მალე იქეცი მოგონებად და  
გაუთავებელ ნატვრად გულისა...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ყარაბალი

რა შეიცვლებოდა ნეტავ  
მთები ცად ატყორცნილი,  
ველ-მინდვრები გაშლილი,  
ხევნი ნიაღვრებისგან  
აზვირთული რომ არ გქონოდა?  
შვლები და ჯეირნები  
ადამიანებივით  
მზირალი რომ არ გყოლოდა?  
მე შენ მიყვარხარ ასეთი,  
შენ ჩემი ყარაბახი ხარ,  
შენ ჩემი დიდი ბალი ხარ,  
შენ ჩემი დღე და ღამე ხარ,  
შენ უფროსი ხარ შენ თავზე,  
შენ ლექსზეც კი უფროსი ხარ.  
(შენ ჩემი ხმა ხარ ლექსამდე)  
ყარაბალო! ყარაბალო  
შენ ჩემი ბებისწერახარ!  
მე თითისხელა ამ კალმით  
შენზე რა ვთქვა, რა დავწერო?  
მხოლოდ ეგ ვიცი, რომ  
სანამ დაგიბრუნდები  
ტანმორჩილი,

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

მხარჩამოტეხილი  
ენამოკლე და  
მზერაშეკვეცილი ვიქნები.  
ეს კი ცხოვრება არაა  
ხვალ ღმერთი არ მეტყვის  
ადამიანო  
შენ ასეთი არ გამიჩენიხარ...

### სადღაც იტყუებიან

აქ რომ ცეცხლი ანთია,  
ესიგი არიან.  
აქ რომ ცეცხლი ანთია,  
სადღაც ყინავს, ქარია.  
აქ რომ ცეცხლი ანთია,  
ეფიცხება ვიღაცა.  
აქ რომ ცეცხლი ანთია,  
ინავლება სადღაცა.  
აქ რომ ნაკვერჩხალია,  
ძველ ფიქრებში თბებიან...  
აქ რომ ნაკვერჩხალია,  
სადღაც იტყუებიან...

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**რასმია საბირ**

*2003 წ გამოქვეყნებული აქვს წიგნები  
“დაპატიმრებული დუმილი“. “უფერო ცრემლები„  
“ვიწრო ხეები ჩრდილის გარეშე” (ერაყში).  
2009წ.„მე დამივიწყე“. პრეზიდენტის  
სტიპენდიანტი.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

დავიწყებულ ადამიანს!

ნუ გაართულებ ამ ცხოვრებას ძალიან!  
რა შეიძლება იყოს საგზაო პოლიციისთვის  
ქრთამის აღებაზე უფრო ადვილი?  
ნუ გაართულებ ცხოვრებას ძალიან!  
გინდა იცხოვრო?  
დაუწერელი წესები ისწავლე მაშინ!  
ნაწერი მოჩვენებითია,  
სიღარიბის მანიშნებელი...  
არ უნდა შეცდე!  
შენ მეხსიერებიდან წაგშალეს  
მეხსიერებაში მაინც იქნები  
როდესაც თანაგრძნობას იღებ  
საავადმყოფოში ექიმებისგან,  
ექთნებისგან, თუნდაც მოსამსახურე  
პერსონალისგან არ უნდა  
დაგავიწყდეს მათთვის მიცემული  
ქრთამის ფაქტი.  
შეგიძლია მწარედ იცინო.  
ნუ დაივიწყებ ნათესავებსა და მეგობრებს,  
რომლებმაც არჩევნების დროს  
2 მანეთად გაგყიდეს.  
სამშობლოს გამყიდველები.  
შენ თავისუფლების ტუსადი ხარ.  
ეს არ უნდა დაივიწყო.  
მაშინ იცოცხლებ.



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### რეალობა...

ჩვენ სასოწარკვეთილების პოეტები ვართ.

ამხანაგო!

ჩვენ პოეტები მხოლოდ იმიტომ გავხდით,

რომ ვერ გავხდით კორუმპირებული

მოსამსახურეები.

არაკეთილსინდისიერი მინისტრები,

ქლესა დირექტორები

სწორედ ამიტომაც გავხდით პოეტები.

თავს ნუ იტყუებ ამხანაგო!

ეცადე სხვები მოატყუო

ამ ქვეყანაში ტყუილი მოდურია.

თავის შეცდომაში შეყვანაზე უკეთესი.

ყურებში ბებოს ხმა გვესმის:

თვალებში - რეალობამ შესაძლოა

სიკვდილი გამოიწვიოს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

*ლექსი დაწერილია ქალაქ შუმას  
მეშვიდე წლისსთავისთვის, ოკუპაციის  
შემდეგ.*

ჩვიდმეტი წელი..  
ჩვიდმეტი წელია მწუხარებაში ვქრებით.  
აღკვეთილი აზრებით.  
მოდრავი არ უნდა იყოს დაყოფილი.  
ველით იმედის ნაპერწკალს -პატარა სანთელს.  
გაუთავებელი სიბნელეა  
ჩვიდმეტი წელია ფიქრები გვტანჯავს.  
ველარ ვიტანთ ამ საზიზღრობას, დანაკარგს.

ჩვიდმეტი წელია იმედით ვცოცხლობთ.  
ჩვიდმეტი წელია ზურგზე სიმძიმეს ვატარებთ  
ჩვიდმეტი წელია მეზობელი ბიჭის  
ნიშნობის სიტკბოება შხამად იქცა.  
ჩვიდმეტი წელია ჩემს სახლში  
ყოველდღე შენს ჭრილობებს ვახვევ -  
სამშობლოს ერთ პატარა ნაჭერს - ყარაბახს!  
ახალგაზრდები მიდიან ჯარში.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ჩვენ აქ სიკვდილს ველოდებით  
ძვირადღირებული რესტორნების კარიბჭეში.  
“აქ ღარიბებისათვის ცხოვრება არ არსებობს,  
ღარიბებისთვის შესვლა აკრძალულია!”  
კიდია დაფა წარწერით.  
ჩვენ არ ვცხოვრობთ, ჩვენ ვარსებობთ.  
მრცხვენია, რომ მზის სხივები  
ხავერდოვანი რევოლუციის ფერია.  
ტელევიზორში ყოველდღე  
საუბრობენ დემოკრატიიტ ექსპოეტზე,  
ამერიკის შეერთებული შტატებიდან.  
დემოკრატია როგორც ბომბი აფეთქდა  
(ნამსხვრევები ძალიან საშიშია)  
ნავთობით მდიდარი მიწის ნაკვეთით.  
მხოლოდ პოლიტიკოსები  
საუბრობენ, ჩვენ ვდუმმვართ.  
ყარაბაღში ტყვიები ჩუმად არიან.  
ჩვენ კი დუმილის საფასურს ვიხდით.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ჩრდილი

არაფერი არ კვდება  
მხოლოდ ყველაფრის ფორმა იცვლება.  
დაბადების შემდეგ ნელა ვიცვლებით  
ადამიანის გარდაცვალებაც ფორმის შეცვლაა.  
ადამიანს ჩრდილი აკლდება.  
როდესაც მეორე კურსზე ვსწავლობდი  
ეს ფილოსოფიის პროფესორის ჩრდილ -  
შეკვეცილი სიკვდილისაგან ვიცოდი.  
მისმა ფილოსოფიამ მიმართულება შეიცვალა.  
ის იყო ქრთამის ფილოსოფია,  
პირფერობის ფილოსოფია.  
მოლაღატეობის ფილოსოფია.  
ჰეგელი, კანტის,  
ფროიდის ფილოსოფიას არ ეხებოდა  
პროფესორის სიმაღლე,  
ისევე როგორც მისი ჩრდილი.  
არაფერი არ კვდება,  
მხოლოდ ფორმა ეცვლება.

*თარგმანი ანა ბარტყულაშვილი*



**გულუ აღსესი**

*დაიბადა 1969 წელს. 4 წიგნის ავტორია.*

*აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია.*

*1998–2007 წლებში პრეზიდენტის სტეპენდიანტი იყო.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ძახილის ნიშანი

(ციკლიდან “სასვენი ნიშნები”)

ხმაურია, ქუხილია,

შიშია –

ძახილის ნიშანი

სარგადაყლაპულია –

ძახილის ნიშანი

არაფრით არ წყნარდება –

ძახილის ნიშანი

არც კითხვებში იძირება –

ძახილის ნიშანი

ღმერთმივიწყებულია:

ძახილის ნიშანი

გასროლილი მშვილდისარია,–

ძახილის ნიშანი

მძიმეს ქვას აზიდინებს,

ძახილის ნიშანი

სამარის ქვას მოგაგონებს –

ძახილის ნიშანი.

**კითხვის ნიშანი**

*(ციკლიდან “სასვენი ნიშნები,,“)*

გზადმიმავლი მოხუცი ვინაა –  
კითხვის ნიშანი  
დაბეჩავებული ეს კაცი ვინაა –  
კითხვის ნიშანი  
რაა,რატომ სად გაქრა –  
კითხვის ნიშანი  
თავს ნისლი წამოსდგომია –  
კითხვის ნიშანი  
წერტილს შეასკუპდა,ისე წამოდგა –  
კითხვისნიშანი  
არც ნამგალია, არც კუნძულია –  
კითხვის ნიშანი  
ღმერთის ერთ–ერთი სახელია –  
კითხვის ნიშანი.

სახავათის ლექსი

ხშირად ურჩევდნენ

-თავს გაუფრთხილდიო!

ხალხმა სიტყა მიაყარა

ხეებმა ფოთოლი

შორს რომ არ წასულიყო

გზებმა მტკერი დაიდეს.

არავის არ უსმინა,

თავსაც არ გაუფრთხილდა,

თვითონ იქცა მულამად –

ყველამ მას მოუსმინა...

უმდერა

ღამის სიბნელეს და,

დღის ნათელს.

და ის ერთ ფაიზს

წეროების გადაფრენისას

გაჰყვა ფრინველებს და

სამოთხის ბაღში დასახლდა....



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ამას მარტო შენ გიყვები—  
ჩემს ერთადერთს,  
დახუფული კიტრის მწნილი  
ღარიბთა სახლში თუ ახეთქავს.  
სახლის პატრონნი კი მარტო—  
ბაირამიდან ბაირამზე ხსნიან..  
შენი დაბადბაც ბაირამი იყო  
მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა,  
ღვთის ნებით არ ემგვანება  
სადღეგრძელოს დარიგებას,  
რჩევას და ჩვილს.  
იქნებ როდესმე წამოგეწია.  
გაჭირვების ჟამს ჩიტი ჩიტს  
პოეტი პოეტს არ ეჩხუბება  
ჩიტი ტოტზე ჭიკჭიკებს  
პოეტი ფურცელზე.  
ქალს ტყუილს არ ეტყვიან,  
სიმართლე კაცია,თუ არა ვცდები.  
ქალს კაცი სჭირდე,  
კაცს სიმართლეს არ ეტყვიან.  
ტყუილი ქალსა ჰგავს,  
ამიტომაც ყველა კაცს უნდა  
ტყუილს გემო გაუსინჯოს.  
და კიდევ, არ დაივიწყო,  
ახლობელი არვინ მყავდა, ამიტომაც  
ვერავის დავემსგავსე  
შენ კი მგონი მამასა ჰგავხარ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

...აი ასე, ჩემო შვილო.  
უკვე გვიანაა, დაიძინე.  
ნახე ზეცა როგორი მზრუნველია,  
ლამისთვის ზურგზე  
ვარსკვლავები კიბეებად აუწყვია...

\*\*\*

უცხად, რომ ნახო ბნელდება,  
უცხად, რომ ნახო, ღამეა...  
ნუ დამწუხრდები  
ლამის მთელი სიგრძე  
ერთ სიზმარს უდრის  
წამოწეჟი, და მოისვენე  
სიზმრებს უხმე და დაიძინე...  
ბავშვის ტირილზე უცხად შეკრთები  
დილა-ხომ მშობირე მზის თოთო-ჩვილია.  
მის შესახვედრად იჩქარის ყველა,  
და ჩამოდგება დაისის ჟამი.  
კვავ დაბნელდება, ჩამოღამდება,  
მზე სადღა არის?  
რა იქნა ჩვილი?  
...თუ ნახე ყოველმხრივ მოგეჭრა გზები  
თუ ნახე გცივა...  
თავი დაიწვი...

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**ნურანე ნური**

*აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია.  
ამჟამად ბაქოს სლავიანური უნივერსიტეტში  
„შემოქმედების“ ფაკულტეტზე სწავლობს. 2012  
წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტის სტეპენტიანი  
იყო.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ლექსის სახიანო

როცა შენ წახვედი...  
გზას მივაპკურე ჩემი ცრემლები,  
რომლებიც იყო გაზაფხულის  
წვიმების წყალი.  
შენზე ფიქრი კი  
დავიწყების მცდელობა გახლავს.  
შენს ნაკლს ვიხსენებ და მგონია,  
ხელით გეხები.  
შენ ჩემო ლექსის სახიანო,  
ლექსებსაც შენი შეშურდებით  
სახელის გამო.

წვიმის წვეთები როცა  
ღრუბლებს უბრუნდებიან  
მეც დაგიბრუნდე?  
შეიძლება პირობა  
მოგცე და ვერ დავბრუნდე.  
მხოლოდ ტრფიალი ცოტაა ალბათ  
გთხოვ მომიტევეო.  
ვერ დავაწვიმდი მე შენს ფანჯარას,  
ვერ მოვაგენი შენს კარ-მიდამოს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ფოტო

მას რომ წარსული არ ხსომებოდა,  
ასე ახლოს არ მოსილიყო,  
არ შეეთხზა რაღაცეები  
და ეს მზერა რომ მის მზერას არ მორიდებოდა,  
ძნელი არ იყო ამოგეკითხა მომავალი იმის  
თვალეზში...

ხელს არ უშვებს და  
მოგონებათა კალთაში უზის ეს ცელქი ბავშვი.  
ო, რომ გაუშვას  
აგორდება აღმართებისკენ.  
იმის მაგივრად რომ  
ავად გახდეს და დამშვიდდეს ბავშვი,  
დედები უფალს ევედრებიან,  
გამოკეთდეს და  
თავდაყირა დააყენოს ოთახი, სახლი.  
ყველაზე სათუთ და საფრთხილო საგნებსაც კი  
აძლევენ ბავშვებს.  
მეც ჩემი გული სწორედ ეგრე მივანდე ამ კაცს.  
მხოლოდ მე ვიცი,  
ყველაზე კარგი ფოტო ის არის,  
რომელსაც იგი  
მთელი ცხოვრების მანძილზე იღებს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

გახსოვს?

გახსოვს?

შემოდგომა იყო...

გახსოვს შენი ის პირველი გამოხედვა?

მზერამ ისე დამაბნია, შეგეფეთე...

წავტორტმანდი, გაგეცინა...

და იმ ფაიხს შენს სიცილში ვიყვავილე...

და იმ ფაიხს ეს ღუნია

ქალწულობის და ქალობის ტახტად იქცა.

ნეტავ რატომ დაგიჯერე,

მე ყვავილი რომ მიწოდე,

იდგა სწორედ ყვავილების ჭკნობის ჟამი...

გახსოვს ალბათ შორსმჭვრეტელი გახლავარო,

მომავალი კი ვერ განვჭვრიტე...

შენ იქიდან გამომიჩნდი,

საიდანაც არ გელოდი,

ეჰ, ახლა კი საიდანაც გელოდები,

იქიდანაც არა სჩანხარ.

ნეტავ შენი ის სურვილი და ის ვნება

ამ მტანჯველი ფაიზიდან

იმ ფაიზში დაბრუნდება?

ველარ ავსებ შენ იმ ადგილს

დღეს რომ ავსებენ მოგონებანი.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### დამნაშავე

როცა ყოველი უშენობას გავუნაწილე,  
ჩემი მეობა აივსო შენით.  
ყოველი წამი დღეს უშენოდ გატარებული  
სიცარიელის მანიფესტია  
და ეს წერია წიგნში,  
რომელიც არ წამიკითხავს,  
და სამარეა ჩემი სულისთვის გამზადებული.  
ეს არის კიდევ ჩემი ღიმილი,  
რომელიც ჟამის საპირისპიროდ  
წარმართულ ამ ჩემს ბედკრულ ყოფაში  
თეთრ სინაზეში გაქრა, წავიდა.  
ეს გაუმარჯოს შენთან უშენოდ ყოფნას,  
ცხოვრებას...  
სულმოუთქმელად ვსვამ ჩემსავ ცრემლებს.  
ეს არის ჯილდო მისთვის,  
ვისაც ტრფიალი ძალუმს,  
და სასჯელია უცოდველი ცოდვილისათვის.  
რა ვქნა, იმდენად ვარ დამნაშავე,  
რამდენადაც დამნაშავეა წყალი, რომელიც  
კალაპოტს ეძებს.

მე თუ გამიგებს

მზე ბოდიშს უხდის ჩამომდმარ ღამეს  
და ხელახლა ამოდის დილით.  
ეჰ, ჰაერში კი ცოდვის სუნი ტრიალებს ისევ.  
ვფიქრობ მაგიერ ყველა ცოდვილთა  
მათნი საქმენი აგებენ პასუხს,  
მაშინ როცა სდუმან ისინი,  
რომელნიც სხედან სიამაყის  
მედიდურ ჩრდილში  
ველარა გრძნობენ ბედნიერებას  
და ვერ ცხოვრობენ...  
ეს არის ალბათ დიდი  
ქარიშხლის მაუწყებელი.  
მე თუ გამიგებს,  
ისევ პოეტი გამიგებს მხოლოდ.

*თარგმანი ნელი მამედოვის*





### რაფიგ გუმბათი

დაიბადა 1965 წლის. 1991 წელს ს. ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი მისი ნაწარმოებები ქართულ, რუსულ, უზბეკურ და თურქულ ენებზე არის თარგმნილი და დაბეჭდილი.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ლექს არ ვწერ... გიციან გაბიძეს

ახლა სიკვდილიც ვერ დამაძინებს,  
მუზა მეხვევა ღღეების ხვატად.  
მე ლექსს არა ვწერ... მკერდგაღელილი  
მე ჩემი დარღის სურათებს ვხატავ.

ეკ, ძილი ჩემთვის უცხო როდია,  
ძილი სამარის მძიმე ლოდია,  
დარღის ფენებით გავცდები თავანს,  
რა ვქნა თუ ჩემი მუზა ჭოგია  
და შუქში ფრთებით მოიღვეს სამანს?!

ხშირად შევივლი ჩუმ სამყაროში,  
ხშული კარები ჩემთვის ხსნილია,  
ძენაზე ფიქრი უანგაროსი  
შეუცნობი და შეცნობილია.

ვითხრი ფიქრებს და უხილავს ვეძებ,  
ვერ მოვიხელთე ჯერ ის საგანი,  
ან ჩემი გული ცყუილად ვწეწე,  
ან სხვაგანაა მზე – ისპაჰანი.

ვითხრი საწუთროს დიადის ამრთან,  
თუმცა არ ვიცი მნათი რას ფატავს,  
მხატვარი – სახეს, ბულბული – ხმას და  
პოეტი კიდევ –სურვილებს ხატავს.

პოეტი დარღის სურათებს ხატავს,  
და მეხარჯება ფერები სრულად.  
ეკ, სად მაქვს ბედი, დავტოვო სახტად  
ცა და მოვიყრდნო ვით თოფის ლულა!

### სიჩუმის სიმღერა

ემშაკსაც ჩასძინებია,  
უკუნი ნაზი რამეა.  
თითქოს ეღემის ძნებია,  
ღმერთო, რა წყნარი ღამეა.

უკუნი ნაზი რამეა,  
ნათელი მოსავს უბრალოდ.  
გმანებას ხედავს ყოველი,  
მე კი შენ გხედავ, უფალო.

თითქოს და სამყაროში ვარ,  
სამყაროსგანვე ეული.  
სიჩუმეს ვუმზერ და ხარობს  
ჩემი სული და სხეული.

ღმერთო, რა წყნარი ღამეა,  
ბნელშია შუქის მკრთალობა.  
რაგომ არა ვარ ყრუ-მუნჯი,  
მთანგავს სიჩუმის გალობა!

ტკბილია?..

პოეტი, სული ჩრდილში რომ ტოკავს,  
და შენი ჩრდილი მიწას რომ ლოკავს,  
გედ სისხლნადენი ხნული ტკბილია?

ყური დაგისმო ღუმელმა მთვარის,  
ჩინი წარგტაცა სიშორემ თვალის,  
დილა სხივებით წნული ტკბილია?

ცოდვათა შიგან მობორიალევ,  
პოეტო, ოხრავ, მიწყევ წრიალებ,  
ქამი ყოველმხრივ სრული ტკბილია?

მეფის გალის ჩიგო, მიეთ-მოეთო,  
ჩუმად მიირთმევ თუთას პოეტო,  
ღუმელი ოქრო... სული ტკბილია?

### ოთხი გაეპი უმოწყალო კაცს

რას ერჩი მაგ ძაღლს, რად ურგყამ კაცო,  
კაცო კი არა, ნადირო, მხეცო,  
მოვა უფალი და თავის სახეს  
წაგვვრის ოდესმე შე გულნამცეცო!

შენ ერთგულების ნაცვლად ძაღლისგან  
ისწავლე ღრენა, ისწავლე ყეფა,  
და როს წყალობას ითხოვ მაღლისგან  
მიწაზე აგლეს შუბლსა და კეფას.

იცოდე, რომ ბღვევავე სამაგიეროს  
ამისთვის ღმერთ, ღროსაც შეარჩევს  
და ქვეყანა როს ამერ-იმერობს  
უძღურის თელვას აღარ შეგარჩენს.

ეს ლექსი არის ჟამთა იგავი,  
ნეგავი, დიდხანს დარჩენილიყო...  
შენ უნდა ძაღლად მოსულიყავი  
და იგი კაცად გაჩენილიყო

## კომუნიზმი წააგავდა თავისას

ორი ღროის გზასაყარზე ვიცხოვრე,  
რა წყობაა, რა ღობანა არ ვიცი.  
კომუნიზმი წააგავდა თავისთავს,  
აჯვარებდა წარსულს აწმყო-გაისთან,  
რა წყობაა, რა ღობანა არ ვიცი.

ის ავადმყოფს მიართმევდა წამალს და,  
ის ლახავდა სიღარიბის სამანს და,  
იგი სოფელს ფურს აძლევდა სამას და,  
იგი მუშას ჩარხს აძლევდა ამასთან,  
კომუნიზმი წააგავდა თავისთავს.

იგი სახელს ანიჭებდა დიდებას,  
და ღირსებას უმატებდა კიდევაც,  
და გვინავდა იგი პატივს მითებად,  
მხოლოდ პოეტს უქადიდა კირთებას,  
კომუნიზმი წააგავდა თავისთავს.

რა თქმა უნდა, ნიჭს უფალი ანიჭებს,  
მაგრამ ჟამი სულელს უგებს ხალიჩებს,  
იგი მეგზურს ეკალ-ნარით აირჩევს  
და გაუხსნის ჯოჯოხეთის კარიბჭეს.  
კომუნიზმი წააგავდა თავისთავს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

დღეს კი, აბა, ვინ რას მიეთ-მოეთობს,  
სალოსია და ბრძენივით პოეტობს,  
წოთისოიფელს ჭილყვაფივით მოედო.  
შტერია და კიდევ – უსასოეთო,  
კომუნისტში წააგავდა თავისთავს.

დღეს პოეტი უკატორლოდ ბინდდება,  
დღეს პოეტი უბორკილოდ კვდინდება,  
დღეს პოეტი ცეცხლ-უალოდ ღვინდება,  
დღეს პოეტი უშუქმზეოდ ბრწყინდება,  
კომუნისტში წააგავდა თავისთავს.

ღმერთო, ღამის გადავასწროთ გყიურებს,  
ღმერთო, სიგყვა გაგვიუპატიურეს,  
წერენ ლექსებს შტერულ და უღღეურებს,  
ფუფლებიან და ბაძავენ ღვთიურებს,  
კომუნისტში წააგავდა თავისთავს.

ღმერთო, იმათ ლექსს პატივი აჰყარეს,  
მზე დიადი იმათ დაასაჰყარეს,  
დღეს პოეტნი უკატორლოდ ჭკნებიან,  
დღეს პოეტნი უგყვიებოდ კვდებიან.  
კომუნისტში წააგავდა თავისთავს.

მაგრამ არის მათში თავაწეულიც,  
საწუთროსგან ველარაფრით ძლეული,  
დღეს – არავენ, ხვალ – ძეგლებად ქცეული,  
ერთადერთი, თანაც ათასეული,  
კომუნისტში წააგავდა თავისთავს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ჭეშმარიტება

ქარში ჭრიალა კარს ანჯამა შერჩეს არღარა,  
ვერ ითარეშებს ღარიბისას აშარი ქარი,  
შენი ღიმილი არ იქცევა სიცილ-ხარხარად,  
დაჯექი კარგო, დაჯე სახლში, ვით ხეიბარი.

უფალმა უწყის, ვის რარიგი, რამდენი მისცეს,  
ყველას თავისი ბედ-იღბალი მიექავილა,  
ბაგონ-პაგრონი ჰყავს თავისი სიგანე-სიგრძეს,  
შენც ბაგონი ხარ – ღმერთმა სიტყვა აგიყვავილა.

შენი ღიმილი არ იქცევა სიცილ-ხარხარად,  
ღარღიმანდს მხრებზე ანგელოზად მაცილი ამის.  
გადაიყარე გულის ჯავრი, ჭირი – ჩალხანა,  
როგორც ქაჯს ნემსი, ეშმაკებსაც უჩვენე საზი.

კმარა, ნუ ოხრავ ამქვეყნიურ დავლათისათვის,  
რა საშენოა ეგეთებზე ხელის დაღება.  
ამ ათსახოვან საწუთროსგან ცხრას ილესავდი,  
თუმცა იმათგან გულზე ერთიც არ გეხატება.

ქარში ჭრიალა კარს ანჯამა როდის ჰქონია,  
დაჯექი სახლში, როგორც კუტი ოცნებით სავსე.  
ოქროს ბოლები დააწვიმდეს თუნდაც ღუნიას,  
შენ მაინც სიტყვა დაგეცემა, ძვირფასო, თავზე.

*თარგმანი იმირ მამედლის*





### დეანეთ ოსმანლი

დაიბადა 1965 წელს. დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. აზერბაიჯანულ ლიტერატურულ წრეებში იცნობენ როგორც ნოვატორ პოეტს. 1992 წელს თავისი შემოქმედებითი მანიფესტით უარი თქვა დღემდე არსებულ ყველა პოეტურ ფორმაზე. 3 პოეტური წიგნის ავტორია. 2008 წლის პრეზიდენტის სტეპენტიადია.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ჩემი თავის მკვლელი ვარ

მე სევდათა სარდალი ვარ,  
აი ჩემს თავს მოვადექი,  
და მკვლელი ვარ ჩემი თავის.  
თოვლი ადნობს უკუნ ღამეს,  
ახლა მხოლოდ გზაღა მოსჩანს  
აღსავლიდან დასავლამდე.  
თრთის შიშველი გული შენი  
ეჰ ,რა პირით დაგენახოს ჩემი სული,  
სუსხმა წარსტაცა პირი.  
მოველტოდი შენს სიყვარულს  
წავიქეცი,  
კატასტრიფა განვიცადე,  
ვერ იცანი  
თოვლზე მაშინ ჩემი სისხლი.  
სითბოში და  
ყინვა სუსხში  
სულ ტყუილა დავითუთქეთ  
გავიყინეთ.  
ეჰ ახლაკი  
შენს საშინელ ღამის სიზმრებს  
ოქროს ფერი და წითელი  
თოვლი ათოვს.

## უკვე გვიანია

სანაპიროსგან მოშორებით  
მეთევზის ნავი...  
დათარსულია უკანასკნელი წამი აფრისა,  
სახეზე მწარედ აღვმბეჭდია  
ქარის ღალადი.  
იდუმალის ხმა,  
გულს რომ აკვნესებს,  
ყოველი ფეხის ნაბიჯზე ისმის:  
უკვე გვიანია სიხარული და  
სინანულიც არის გვიანი.

უკვე ყოველდღე მღალატობენ  
სათითაოდ დამსხვრეული ეს იმედები,  
და დაცურავენ გულის უკუნში  
როგორც უკვე მკვდარი თევზები  
წყლის ზედაპირზე...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

და ჩემი სახე,  
როგორც მეთევზის  
გამომშრალი ძველი ღიმილი,  
მეგობართა ფეხებქვეშ გდია...

უფალი ღმერთის დაღლილობის ჟამს  
ყოფა-ცხოვრების ფართო დაფაზე  
თეთრი ცარციტ დაუხატავთ  
ჩემი ცნობილი სახე-პორტრეტი  
ქვეშ ამ წარწერით:  
უკვე გვიანია ღამით ჩუმი მოთქმა-გოდება,  
უკვე გვიანია ბედნიერი დილის ლოდინი.

შენ ჩემი ცოცხალი სახელი ხარ

აქ სასაფლაოს სევდიანი ეს ყვავილები  
ხომ უღიმიან

სუფთა

იდუმალ

დაუნდობელ სიკვდილს სახეში.  
ამ ყვავილების სურნელში არის  
უფლისმიერი ბედისწერა და  
ამოსუნთქვასაც რომ არ გაცლიან  
აი ისე ენაცვლება ერთი-მეორეს  
ტანჯვა-წამება და სიხარული.

უფალს, არც ერთი საფლავის ქვა-  
მე ბედნიერი ვიყავიო - არ ეუბნება.  
და საფლავებში  
ულატაკესთა სულიც არ იტყვის  
მე ,აქ მარტო და ეული ვარო.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

დაუნდობელი და მძიმე არის  
ჩემი საფლავის ქვის შავი სახე.  
და ის წარწერაც მასზე რომ არის  
ვერ დააყუჩებს ახლობელს ჩემსას.

ჰეი, უცნობო, გზას რომ ემდური,  
შენ სახელი ხარ ჩემი ცოცხალი,  
და ვიღაცის დარდი ხარ ალბათ.  
ბედისწერას ხომ არ გაექეცი...  
მოდი და ახლა დამადექ თავზე,  
რომ მეც გამოვჩდე სახემლიმარი  
იქ, სადაც ჩემი ღმერთის ნებაა.

მონატრებაში

როგორც ჩიტები  
მიფრინავენ ჩემი დღეები.  
გადაწურული იმედით  
მოგყვები  
    ღმერთო,  
მონატრების ვწრო გვირაბით.  
უკვე წლებია,  
    მოვრბივარ,  
    მაგრამ  
ნაკვაღვევი იშლება ჩემი.  
და როგორც კი შენამდე მოვალ,  
თვალთ მიბნელდება.  
გადაწურული ჩემი იმედი  
უფრო მცირეა,  
ვიდრე დარდის მთა.  
უფალო,  
    ღამით  
როცა სულ ყველას ჩაეძინება,  
შენ მოდიხარ და  
ოფლად დაღვრილი  
ახლიდანა ქმნი ამ წუთისოფელს,  
მე კი ყოველდღე  
ოფლში გაწურული  
ხელახლა ვანგრევ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

იყო ერთი...

ხანდისხან თავს ვირთობდი  
შენით ჩემო ყვავილო.  
ტყუილი ხარ,  
                  მინდოდა,  
თავი მოვიტყუილო.

ერთხელ გულმა მაუწყა,  
აგერ იგი მოვიდა.  
მერე ბედის სუნდუკის  
დაკავება მოგინდა.

ყველა მიხვდა,  
                  ჩვენს სახლში  
თოვლი არა დნებაო,  
ამ გულში ვერ ეტევა  
მისი დიდი ნებაო.

მერე მოგონებებში  
მახსენებენ უბრალოდ,  
იყო ერთი,  
                  ამ ქვეყნად  
ვლიდა უგზო-უკვალოდ...



დავიწყებული სიტყვა

სიკვდილის წინ რომ მინდა ამოვთქვა  
და ვერ ვიხსენებ  
აი ის სიტყვა  
გამჩრია ყელში  
როგორც ქვასავით გამხმარი ლუკმა.  
ვერავის რომ ვერ გავაგონე  
დადუმებულმა  
ცრემლივით რომ ვერ შევიკავე  
და რომ წამომცდა,  
ახლა იმ სიტყვის წვენი თუ გახსოვს,  
თუ ყველაფერი  
გადაგავიწყდა მოულოდნელად.  
სანამ გულივით ამ ცხოვრებასაც  
დამწყვეტ,  
დაწრიტავ,  
მომწერე რამე,  
ჯერ კიდევ თუ გასურს  
გაიგონო ის ერთი სიტყვა...  
რომ დამავიწყდეს,  
და საფლავში ჩავიყოლიო,  
თუ გამომყვები...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ცხოვრების ჩიხში

ერთი წაგაქცევს, არ დამშვიდდება,  
სხვას შეეცოდები, თუმც არ იტირებს.  
არც ძალა მერჩის,

არც ბეჩავი ვარ,

ცხოვრების ჩიხში

ჯერაც სამოთხის შანსის კვალს ვეძებ.  
მეგობარმა იმედი მომცა,  
თუმც თავი დროზე ისე მიმტყუნა,  
სინდისი არ შესწუხებია.

მეორემ მითხრა,

მოთმინება იქონიეო,

დამამშვიდა და მხარზე შესმული  
წამიყვანა სამარისაკენ.

ვერავინ მიხვდა, მე მირჩევნია,

სუდარის ნაცვლად

გავეხვიო ჩემი სინდისის სუფთა ზეწარში  
და იმ ქვეყნად ისე წავიდე,

სწორედ ამიტომ დავდივარ ასე

ამ ცხოვრების ჩიხ-ლაბირინთებში.

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**ვასილ სულეიმანი**

*დაიბადა 1965 წელს. დაამთავრა ბაქოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური  
ფაკულტეტი. აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის  
წევრია. იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
პრეზიდენტის სტეპენდიატი. 3 წიგნის ავტორია.*

### დავწერე

მე ვარ, დაფიქრდი, ნულა გამომცდი,  
შენ მაზიარე რწმენას, დავწერე.  
ჩვენი გზები რომ გადაიკეთა,  
ჩემი ბედი ხარ შენა, დავწერე.

რით დამთავრდება ეს სიყვარული,  
თუმცა ჯერ არ ჩანს გზა დაფარული  
არ დავწერ მეტეჟი შენზე მალულად,  
ვერ მოვითმინე, ვერა, დავწერე.

სიტყვით შევქმენი რაც მაქვს საჩინო,  
და უშენობას ვუსინჯე გემო.  
რაც მიწერია მე დღემდე, ჩემო,  
ვიცი, შენ გიძღვნის ზენა, დავწერე.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### შენი ამბავი

მე ბევრი რამე არ მითხოვია,  
ღმერთს ვთხოვე მხოლოდ მე შენი თავი.  
სული ვერ უძლებს ღამის მარწუხებს,  
დილამდე რჩება სიბნელე შავი.

ანგელოზი ხარ, რაცა ხარ, იცი,  
ბინდით მოსილი რა ცა ხარ, იცი.  
მე შენზე რომ ვწერ მხოლოდ შენ იცი.  
სიხარულს ვეძებ, დარდი მკლავს ავი.

სულს გადაჰკვრია ყინულის ფარჩა,  
შენ ერთ დარდს ხედავ, ათი კი არ ჩანს.  
ტრფიალის გზაზე ნეტავ რა დარჩა,  
უსასრულობას დავეძებ, რავი.

გულს ფიანდაზად დავუგებ ტრფიალს,  
გავუძლებ ტკივილს, არ ვიწყენ ტიალს,  
არმადანს მივცემ მაცნესაც ფრთიანს,  
რომ მომიტანოს შენი ამბავი.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### სადამდე წავა

სულყველაფერი ლამაზი იყო,  
ისიც კი, მან რომ გამხადა ავად.  
ცხოვრებას ერთი ფერი აქვს მხოლოდ,  
იწყება შავით, გრძელდება შავად.

ღმერთო მორწყალე ტრფობა ფრთამალი  
შენ გვიბოძე და გულში დავმალეთ,  
დარდი შენგან გვაქვს, მოგვეც წამალი,  
თორემ უწამლოდ არ ვიცით, რა ვართ.

რაც რამ ვიხილე ენითა ვჩარხო,  
თვით მონატრებაც დავღალე, ხალხო,  
გულს ვიმეტებ და დარდს ისე ვალხო,  
გული გამიძლებს, განსაჯეთ თავად.

ეცოტავება ქვეყანა ვნებას,  
დე, დამიფლითოს მკერდი, თუ ნებავს,  
უფალს მივანდობ ყველა უფლებას,  
წავიდეს ბედი, სადამდე წავა.

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**ფაიგ ბალაბეილი**

*დაიბადა 1964 წელს. დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვა აკადემია და სლავიანური უნივერსიტეტი. ამჟამად ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია. გამოცემული აქვს 6 წიგნი. 2009 წელს იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტეპენდიანტი.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ვით გვიან ღამით დარეკილ ზარის  
ხმას მოყოლილი რამე ამბავი,  
ისე მოვიდა აი ეს წვიმა.  
და დააწვიმდა ჩემს ბრაზს და რისხვას–  
შენ ამის მერე გინდა იწვალე, იჩხუბე გინდა...

როგორც ნახევრად გაშლილი კვირტი  
მოვინუსხე და შევიბურვე მყისიერი ხმით.  
ვერც გავიხარე  
და ვერც ცრემლები დავუმალე  
შხაპუნა წვიმას...

მე განვიბანე, შიში არა მაქვს ჩემი გონების  
ალბათ ეს წვიმა ნათელს მოიტანს...



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

გული ტკივილი ვერ იგრძნეს ალბათ  
ფეხებმა ახლა,  
და ჩემიანად ზიდეს ტკივილი...  
ნეტავი საით მივყავართ ფეხებს...

მუჭაწყალივით შევესხურე  
გადამსხვრეული ჩემს ბედისწერას,-  
ებრა ჩამოსწმენდს-  
ცრემლის წვეთები ღვაწებზე დამდის,  
ბედისწერას ვერ წაშლის ცრემლი.

ხელი ზეცისაკენ აღაპყარ და ლუკმას ელოდი,  
ახლა უძწეო და უიმედო  
რატომ გარბიხარ გაბღენძილი კაცისკენ ბავშვო?  
მან ვინც ზეციდან  
შენთვის ლუმა არ გაიმეტა  
თოვლსა და წვიმას არ დაიშურებს.

ეს კაცი კიდე  
მიწას ფურთხის ღირსად არა თვლის,  
სახეს დაეძებს რომ მიაფურთხოს,  
უკან დაიწი.  
დაიწი,რომე მაგ ტკივილითაც  
დავტვირთო გული,  
ჯერ ხომ მუხლებში ძალა მომყვება,  
ჩემიანად ვზიდავ ტკივილებს...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

იქ სადაც არ ხარ  
უმენებობა სუფევს, როგორც დიდი სიჩუმე,  
თანაც ცხოვრება ძალზედ ძნელია.

გახსოვს,თავი ვინ მოგამულა?  
ძირს დავარდნილი ყველა საგანი  
მოდულებულზე უფრო  
ძვირფასი გეჩვენებოდა,  
მოდულებულს მოიძულებდი,  
ძირს დავარდნილს კი აიღებდი ,  
შეინახავდი...

ისე ცუდად ვარ,რომ ნაპერწკალი,  
ჩემს თვალებში, რომ ანთია ახლა,  
ზედმართული სინთალის ძელთა  
ძირში დაცემულ ბნელს თუ მაგონებს.

ერთი წამითაც არ მოგვცილდა  
უძილობა,როგორც რა ვთქვა,  
ეს სილატაკე.  
კვლავ შენ გიხსენებს ჩემი  
თავი კი არ მახსოვს ჯერაც...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ვერ შევეგუე საპატიმროს ცხოვრებას,ვერა,  
როგორც ფრინველი გალიაში  
მივაწყდი კედლებს,  
და ყოველდამე ძილს  
ნატრობდნენ ჩემი თვალები,  
ძილს მოელოდნენ ბაიყუშივით.  
შვილი მომენატრა,  
როგორც ჩიტს მოენატრება ბარტყი,  
რომელიც ბუდეში დარჩა.  
დედა მომენატრა,  
ცრემლთადენისაგან ღვაწდაღარული.  
სიცოცხლე მოენატრა,  
„ცხოვრება კარგი რამაა!–მეც ვთქვი,  
და ჩემი ძაჟის მაღალი შუბლი,  
და ჩემი გოგოს ნაზი დალალი  
დამესიზმრა,როგორც გრძელი გზა  
ჩემსკენ მავალი და გზა რომელიც  
გამიყვანდა ცხრაკლიტურიდან,  
ეს გზა მეძახდა.  
მე რა შემემძლო,  
დავყურებდი ჩემს გაშლილი ხელებს  
და ყველგან შვილი მელანდებოდა.  
მე ვფართხალებდი როგორც დაჭრილი  
ჩიტი–ფრინველი.  
იწრიტებოდა ხმა,როგორც წყარო,  
და მე ვითარცა კალენდრის ფურცლებს,  
დღეებს ვითვლიდი, ვაცალკავებდი.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ერთად—ერთო, ნუ აყოვნებ სიტყვასა,  
დრო არ იცდის, ახლა მითხრა სჯობია.  
ჩანს, უჩემოდ გიტირია, კიდევაც,  
ლაწვზე ცრემლი ჯერაც არ შეგშრობია.

არ წახვიდე ეგრე გნახავს მოკეთე,  
გაიღიმე, თვალთ ჩაგიდგეს სიკეთე.  
თუ შევცოდე, მიდი თავი მომკვეთე,  
დე დაიგმოს ,ის რაც დასაგმობია.

ო, გულჩვილო, ცრემლჩამდგარო ლამაზო,  
შემომხედე, მსურს ზღაპრებით ამავსო.  
ჩამომერღვა სული, თვალი დამეფსო,  
ჩემს მაგივრად ქვას გული მოლბობია.

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**ელჩინ ისკანდერზადე**

*დაიბადა 1964 წლის. იგი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. 1991 წლიდან „ვექტორი“, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. 1997 წლიდან აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია.*

### ლამაზო

ეს ცხოვრება ტრაგედიის დრამა იყო,  
შენი ეშხი ჩემთვის სულის მუზა იყო,  
ეს ქვეყანა სასწაულის დილა იყო,  
შენც მომხედე, მეც მოგხედე, ლამაზო.

გაწყდეს ბედის მიზრაბ – სიმი,  
ეს ოცნება ტალღების შუა ნავია,  
რაც ვიცხოვრეთ წარსული სიზმარია,  
შენც აგიხდა, მეც ამიხდა ლამაზო.

სიცოცხლე – სიკვდილებს შორის კუნძული,  
შევერთდით, ავენთეთ, დავიწვით ცეცხლზე,  
გავხედე მომავალს, ხვალინდელ დილას  
არც შენ ჩანდი, არც მე ვიყავ, ლამაზო.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

კალამი, ხელი, გული

შავ კალამს რომ მოჰკითხო,  
არც ვინმეს შიში აქვს  
არც ღმერთის რიდი.  
სამართალს ემსახურება,  
ზოგჯერ ეშმაკს ემონება,  
მგოსნის კალამი.  
როცა ეშმაკის მონაა  
მას ყელში წაუჭერ  
და მაგრად ვუჭერ,  
ტკივილისგან კალამი  
ნაპერწკლებს გაყრის.  
კალამი ხელის,  
ხელი კი გულის მონაა, მონა.  
გულის ბრძანებას  
მარჯვენა ასრულებს.  
მწარეც რომ იყვეს, ეს სიმართლეა  
მარჯვენა კალამის,  
გული მარჯვენის,  
ქვეყანა გულის სახრჩობელაა,  
სახრჩობელა...

### მათხოვრის პორტრეტი

მომქრალი თვალებით  
დღეში ათასჯერ თვალს გააყოლებს  
ამვლელ ჩამვლელებს,  
სიამაყის და შიმშილისაგან  
თავი უბრუს მუჟა სიტყვასაც,  
მზერასაც უსწრებს–ღვთისა შვილია,  
ადამის მოდგმა,  
ჩვენებურია, შეხედე ძმაო,  
გამოუწვდია სამადლოდ ხელი.  
არც მამული აქვს, არც სახლი–კარი,  
თავისი წერის ნაფერფრალია



**მდგომარეობა**

არც მზე მინათებს,  
არც მაწვიმს,ღმერთო,  
ნიავიც კი არ მიბერავს.  
მინდა თვალები დავხუჭო  
გამოვეთხოვო  
სიცოცხლის ხალისს...

არც მზე მინათებს, არც მაწვიმს,  
ნიავიც კი არ მიბერავს,  
ველარ ვლოცულობ, რა ხდება  
ლოცვაც კი ცაში ორთქლდება.

### პოეტები

ჩიტები თავისუფალნი  
ხეები ბედნიერები.  
მონავარდე ჩიტს, აყვავებულ ხეს  
თავის ცხოვრება და სიზმრები აქვს  
ვარსკოავების ბაღნარში კი  
მგოსანთ ფიქრები და სამყაროა  
თავისუფალი და ბედნიერი.  
მგოსანნი საყვარელ ქალებს  
ვარსკლავებისგან გვირგვინს უწნავენ.  
ოზანში მფრინავი ჩიტის  
აყვავებული ხის სიზმრებში  
დანავარდობენ.

*თარგმანი ანა ბარტყულაშვილი*



**თაპდიგ იოლჩუ**

*დაიბადა 1959 წელს. 1987 წელს დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. რამდენიმე ლექსთა კრებულის ავტორია. არის აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

სხვას ამბობს შენი თვალები

რაღაც საფიქრალი შეგყრია, ვხედავ,  
გულს გიჭამს ეჭვი რამ, გამაწვალე,  
რატომ მეუბნები, არ მიყვარხარო,  
როცა სხვას ამბობენ შენი თვალები.

ვიცი, გემნელები შესაყვარებლად,  
ჩემ გულშიც სხვა ცეცხლის ნაცარი არის,  
მეც, იქნებ, არ მსურდა, შემყვარებოდი,  
მაგრამ ასე მოხდა... რაც არი, არი!

ბედია, წერაა, როგორ ვეურჩო,  
თორემ გულს სხვარიგად დავიოკებდი,  
ან რას ვიფიქრებდი, ასე ამაყი,  
შენ სიყვარულის წინ დავიჩოქებდი.

მიყვარხარ! ამიერ მე ვარ უკვდავი,  
შორს დარჩა გულისა ის სიმარტოვე.  
შენ თუნდ მიმატოვო, მარტოდ გამწირო,  
მე შენ ვერასოდეს ვერ მიგატოვებ.

რაღაც საფიქრალი შეგყრია, ვხედავ,  
გულს გიჭამს ეჭვი რამ, გამაწვალე.  
აღარ, აღარ მითხრა, არ მიყვარხარო,  
რადგან სხვას ამბობენ შენი თვალები.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

მე რომ მიყვარდი,  
არავისთვის გამიმხელა.  
ეგ კია, ერთხელ,  
მთვარიან ღამეს,  
ეს სიყვარული ჩემს თვალებში ამოიკითხა  
შენს თავზემთ მოჭიატე ერთმა ვარსკვლავმა.

ეგ გული როდის გამოიღვიძებს,  
როდის გეწვევა სევდა ნაზი სიყვარულისა?  
არავის მიხედო, ყური არვის ათხოვო, კარგო,  
იმ ღამეს, როცა გაიღვიძებ და თვალს აახელ,  
ადექ და ცაზე შენი ბედის ვარსკვლავს შეხედე.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ახლოსა ვარ, აქა ვარ

ახლოსა ვარ, აქა ვარ,  
რამე თუა იქით კიდე?  
შიგ შუაგულ მორევში ვარ,  
არ დავებებ მე გან-კიდეს!

აქ ყვავილი არა ხარობს,  
ქარი თმასავით სიმ-ლარობს,  
გზა გამვლელებს არა კმარობს,  
უნდა ვნახო რაიც წინ ძევს!

შუა წელზე ვარ სიცოცხლის  
გზაა...

მარჯვნივა ვარ ამ გზის.  
ჯერ ამ დარდის მთებსა ვაზი,  
ნეტა იმ მთებს რაღა ადევს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

თვალთა ცოდვას...

ხელცოდვილა არა ვარ,  
თვალი მიმრბის მეტად კი.  
რაც არ უნდა მემტვეროს,  
სახე მრჩება სპეტაკი.

ჰოდა ჰიბან ამ ხელ-პირს,  
მეწმინდება იმ წამსვე.  
გარბის გუგა თვალისგან  
ვერ ვაჩერებ ამ წამსვლელს.

დასაბანი ეს წყალი  
ჩამორეცხავს ჩემ ცოდვებს?  
ხმა, შიგნიდან რომ ყივის,  
ჩემს ახს ქვეყნად თუ მოდებს?

შენ განსაჯე მსაჯულო  
შენთვის სიტყვა ვამახე:  
თვალმა რა ცოდვაცა ქნას,  
მიწითლდება ღაწვ-სახე.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

მისამართს ნუ შეიცვლი

შენი საცხოვრებელი  
სულმაც იცის ზეპირად.  
მისამართს ნუ შეიცვლი,  
თეთრყვავილო, ღაწვ-პირად.

თუკი წაველ არ მოვალ,  
ნუ დამიცდი ამაოდ.  
რომ მნახოს არ გამიშვებს,  
ღმერთი ჩვენი, მამავო.

სული გამომექცევა,  
გულს რომ ნატვრა უგზნებს ალს.  
მისამართს ნუ შეიცვლი,  
ამქვეყნიდან რომ წავალ.

*თარგმანი ოქტაი ქაზუმოვის*



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---



### გაშამ ნაჯაფზადე

*დაიბადა 1959 წელს. დაამთავრა პედაგოგიური  
უნივერსიტეტის ლიტერატურული ავტორია 12  
პოეტური კრებულისა წიგნისა.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ჩემი ხელები

აგერ უკვე რამდენი წელია ჩემი ხელები  
შენს ხელებთან მოფრინავენ.

ჩემი ხელების ფრენის ხმა

ჩემი ლექსებია, მოუსმინე.

ჩემი ხელების კვამლი

წერილებია ჩემი, შენდამი დაწერილი,

წაიკითხე.

შენმა ხელებმაც რომ იციან ფრენა,

იმაზე მივხვდი;

რომ ყოველ დილას და ყოველ ღამე

იხსნიდნენ და იკრავდნენ

ღიღებს ხელები შენი.

უბედურება მაშინ იბადება,

როდესაც ვერავინ ხედავს,

რომ შენი ხელები ფრენენ.

ხელები, რომლებიც

შეხვედრისას გეხვევიან;

სინამდვილეში არამფრინავი ხელებია.

როდესაც დავინახე,

როგორ ფრენენ შენი ხელები

და როგორ კლავს ბერვით ქარი

მათზე ბილიკებს,

ავტირდი:

მე მფრინავი ხელები მაქვს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ომი, ჩექმები, სიკვდილი

ომი გრძნობების გამოვლენაა.  
ტყვიების სიმღერა–მხატვრული სტილი.  
ჯარისკაცები– გამალებით მიმქროლავი აზრები.  
სისხლი– ხმაურის წუთიერი მინელება.  
დაღუპული ჯარისკაცის  
ჩექმებს შევხედე ერთხელ.  
ჯერ არ გაცივებულიყვნენ.  
გაჭიმულები იდგნენ ფეხთა ხსოვნის წინაშე.  
ნივთებიდან ყველაზე უფრო  
ჩექმებზე იკითხება ის,  
რომ კაცი მკვდარია.  
ამიტომ ნიშნობის ბეჭედი  
თითზე, ჩახმახს რომ სწევს,  
სულ მუდამ ევედრება თითს  
“გთხოვ, ნუ მიმაჭერ რკინაზე”.  
თუ გინდა გაიგო რას ითმენს სანგარში  
ჯარისკაცი, მის ფეხებს შეხედე.  
ზოგჯერ ტალახის შხეფები ჩექმებზე  
სულ–გულში დაძაბულობით დატოვებული  
ნაკაწრების კვალია.  
მოკლედ,  
ჩექმები ადამიანის ყველაზე მწუხარე  
ფოტოსურათია.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ნუ გიყვარვართ

ო, დაო ჩემო,  
შენ იმ ადგილზე მცირე ხარ,  
ჩემს გულში რომ გიკავია,  
ნუ გიყვარს ასე შენი ძმა.  
შენი ძმა ფრინველია,  
ის აფრინდა უცნობ ხეზე.

ო, დაო ჩემო,ვისმა ნაწნავებმაც  
გული შემომწნა,  
დაო ჩემო, ჩემო მაცქერალო.  
დაო, გემრიელო, როგორც ჩემი საჭმელი,  
დაო, მლაშევ,როგორც ჩემი მარილი,  
ნუ გიყვარს,  
ნუ გიყვარს ასე შენი ძმა.  
შენმა ძმამ ისევ დალია,  
დალია და ქვეყანაზე სახეტიალოდ წავიდა.

ო, დაო ,გამზრდელო ჩემო,  
ო, უბედურებავ ჩემი დის გაზრდილო,  
ო, სიყვარულო,  
ჩემი უბედურების გაზრდილო,  
ნუ გიყვარვართ,  
ნუ გიყვარვართ ასე.

### გარდაქცევა

უდავო ქალური სინაზე  
წვიმისა.  
ვიცანი ქალის ხელების შეხება,  
როდესაც  
წვიმის წვეთები კერვით  
ლილს ამაგრებდნენ,  
რომელიც პერანგიდან მწყდებოდა.  
წვიმის წვეთი სინონიმია სინაზისა.  
ამ ქვეყნად ყველა წვიმა,  
შესაძლოა, ქალის  
სხვა იპოსტასია.  
კაცები ქარია  
ფერსიცვალებათა ჩვენში,  
და ქარი სხვა იპოსტასია  
კაცია.  
ქალების წვიმად გარდაქცევის მიზეზი  
მეტამორფოზაა  
მზორგავი კაცებისა.  
მათი ქარად გარდასახვის მიზეზი–  
მარტოობა.

### ინფარქტი

ჭვალი მკერდექვეშ, მარცხნივ,  
ცხოვრების პანორამაა.  
იმიტომაც ზღვარი  
მარცხენა პარკუჭის  
მოდრაობის ძალასა  
და ტვინის სიჩქარეს შორის  
მკერდში ჩასობილი  
ძახილის ნიშანია.  
როდესაც ტვინი  
წარომებითაა დაკავებული;  
გულის მთავარ არტერიაში  
შეგუბების დროა.  
შეიძლება ასეც ვიფიქროთ,  
რომ ტვინსა და გულს შორის  
დროის უკმარისობაა.

*თარგმანი ნიკა ჯორჯანელისა*



**ილჰამ გეჰრამანი**

*დაიბადა 1959 წელს. პოეტს, რომელიც  
სპეციალობით ბუღალტერია, დღემდე 4 წიგნი  
აქვს გამოცემული . აზერბაიჯანის მწერალთა  
კავშირის წევრია.*

**გიცნობ**

გიცნობ -

პატარაობისას ძუძუსთვის ტიროდი,

გაკვეთილზე კი

ერთურთს აბამდი

გოგონათა ლამაზ ნაწნავებს.

გიცნობ -

დრო იყო როცა

შენც დაფრინავდი ლამაზ სიზმრებში,

და მიჰყვებოდი ჯარში მიმავალ

ბიჭებს კვალდაკვალ.

და ბავშობისას ხიდზე როცა გადადიოდი

გეხმარებოდნენ,

გახსოვს, მალი-მალ ყელი გტკიოდა,

თითებს მარლში გაყოფინებდნენ

მაშინ ქალები

და ზოგჯერ ძალით გაღებინებდნენ.

გიცნობ - ქვეყანამ

შენც სიყვარულით გაჯობა ბოლოს,



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

და შენც პირველი სიყვარული,  
ვიცი, მწარედ დაგამახსოვრდა.

გინდ მდიდარი იყავ, გინდა ღარიბი, -  
შენ კარგად გიცნობ.

შენც გეკრძალება რაღაცეები  
იმ ნაკრძალებში.

და შენს თავს ზემოთ სახვა ბატონი არსებობს  
ვიცი.

გიცნობ -

ცხვირში ყაყაჩოს სუნნი

გულში კიდევ ტყვიის შიში გაქვს.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### მონატრება

ლაჩინში

ჩვენი ძველი სახლის

ის ძველი ღობე

შემოგვეხვია მუხლებზე მაშინ...

აქ ხირდალანში

სასაფლაოს მიდამოებში

მამას მკლავები

თავისსავ მუხლებს

შემოეხვია .

ეჰ ბედს რა ვუთხრა,

იქ ძველმა სახლმაც

მკლავები ისე ჩამოყარა

როგორც აქ მამამ,

მამას მუხლებიც

ძველი სახლის

მუხლებივით ჩამოხმა უკვე.

## შევეჩვიე

1

როგორც ობოლი  
შეეჩვევა ავ დედინაცვალს  
ისე შევეჩვიე ამ სიღარიბეს.  
გვალვიან წლების ფრინველებივით  
შევეჩვიე სილატაკესაც.  
რამაზანის თვის  
დადგომამდე მარხულობასა  
და დილის ჩაის  
სალამომდე გამოზოგვასაც  
ვეჩვევი უკვე.  
შევეჩვიე  
ფეხსაცმელების ჩაცმისას რამეს,  
შევპირდე შვილებს.  
ფეხსაცმელების გახდისას ათას  
მიზეზს ვიგონებ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

თურმე ნუ იტყვი  
მდევი საცერით წყლის მოსატანად  
სურვილებს მიჰყავთ,  
ადამიანიც ვალს ივალებს  
და ქორწილში მიდის.

2

რატომ არის რომ  
მიწაზე იმედგადაწურული  
მავანი ცისკენ აღაპყრობს ხელებს?  
მივხვდი, გავიგე,  
თავს რომ იღრჩობენ,  
თურმე იმ თოკზე  
გაცრუებულ იმედს კიდებენ,  
მივხვდი, გავიგე.  
მივხვდი, გავიგე,  
ის, რაც ამ ქვეყნად  
მსუბუქია და უმძიმესია,  
გალია ჰქვია.  
... კიდევ კარგი,  
რომ გულშიაც ვცხოვრობთ,  
ადამიანი თავის გულში  
სადამდეც გინდა, იქამდე წავა,  
უსაზღვროა თავისუფლება.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

მივხვდი, გავიგე, რაა ცხოვრება-  
ქვიშაზე შენი ოცნებების  
ხატვაა მხოლოდ,  
ბოლოს კი შენი “მოსვლა-წასვლის”  
ქვაზე, ლოდზე ამოტვიფრაა.  
ყველას ერთი მისია  
აქვს ამ ქვეყანაზე-  
ბედისწერის გადმოწერა  
შენს ცხოვრებაში.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

### გულსანამი

ო, გულსანამო,  
რა არ ვითმინე შენგან, შენს გამო,  
ჯერ ხელი,  
მერე თვალი მოგწყვიტე,  
ახლა კი ჯანს ვიწყვიტავ,  
შენზე დარდით,  
ო, გულსანამო.

*თარგმანი ნელი მამედოვის*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია



ელესკერ თალიბოღლუ

*დაიბადა 1959 წელს. 3 წიგნის ავტორია.*

### გულში ჩავიკარი

გულში ჩავიკარ მამულის  
საგაზაფხულო წვიმანი,  
ფაიზის ცივი ქარი და  
ქარიშხლის წყევლა-კრულვანი...  
ნურვინ იშფოთებს სრულებით...  
გულში ჩავიკარ მამულის  
ქალწულურ უმანკობად  
გარდასახული მშვენება  
და მთვარიანი ზაფხულის  
ღამეთა ჩუმი თენება...  
დე, დაიწმინდონ გულები...  
გულში ჩავიკარ მამულის  
ცად ავარდნილი ღალადი,  
განძარცულ ყარაბახივით  
გულის შემძვრელი სახადი...  
მეტად თმები არ იგლიჯონ,  
დაე, დაწყნარდნენ ქალები...  
გულში ჩავიკარ მამულის  
ველ-მინდვრები და მთა-ბარი.



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ცად ატყორცნილი ტოტები,  
ფოთლები- ტყეთა საფარი.  
მერე მის დროშას ვემთხვიე,  
ამენთო გულის ლამპარი,  
მუხლებში ძალა ჩამიდგა,  
ავღმართე დროშა სამფერი...  
აღარასოდეს დაეშვას,  
მის ფერებს ვენაცვალე...

### ცხოვრების აზრი

მე ყოველდღე ვწერ  
ჩემი ცხოვრების ტკბილ-მწარე წიგნსა,  
ვშლი ბედისწერას,  
რომელსაც მხოლოდ წაშლიდა ისა.  
და კიდევ ცოტაც რომ გავთხარო ჩემი სამარე,  
ვეცემი ძირსა.  
ასე ნელინელ ვუახლოვდები საღათას ძილსა.  
ბინძურ ჭაობში ვეფლობი ზოგჯერ,  
ხან კი ტყვეობის მარწუხი მბოჭავს,  
არ ვეპუები, წთისოფლიდან  
მარადიული სოფლისაკენ მივრბივარ აგერ.  
და გაქვავებულ სურვილით სავსე  
ასე ყოფნიდან არყოფნისაკენ გზა-ბილიკს ვაგებ.  
ჩემი ჯვარცმული იმედების მინავლულ შუქზე  
სიცოცხლის ძალა მატულობს ძირში,  
და ამ ნათელში იკარგება სიკვდილის შიში.  
... და მე იმ ნათელს ვინახავ გულთან,  
და თვით სიკვდილზე ვიმარჯვებ მუდამ.

## ნეტავ

ო, როგორ მინდა,  
თუმც რა ხანია არაფერი არ მესიზმრება.  
რაც მშობლიური დავკარგეთ მიწა  
დაიკარგნენ ჩემი სიზმრებიც.  
ვით წამებულთა ჩვენთა სულები  
ჩემი სიზმრებიც ცაში გაფრინდნენ.  
იქ მთვარის მიღმა  
ვარსკვლავებით ჩამწკრივებულან...  
და როგორც ბუდას ბადჰო ხეზე  
ჯვარს აცვეს ქრისტე,  
იმ ადგილების  
დარდით, სევდით და მონატრებით  
სავსე მაქვს გული.  
და ამ უღევი დარდის გამო მისკდება მკერდი.  
ღმერთო, რა მძიმე ყოფილა თურმე მამულის  
დარდი...  
მომხდურთა ხელში განა

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

მარტო ხოჯალოა და  
ან მარტო შუშა, ლაჩინი და ქალბაჯარია?...  
ნეტავ ჭრილობას ყარაბახისას  
არა სდენოდა ეს შავი სისხლი,  
შავი ჭრილობა ყარაბახისა  
მოშუშებული მენახოს ნეტავ.  
და წამიბულთა წმინდა სულები  
ტკბილად მძინარი მენახოს აქა.  
ამიხდებოდა უნახავი სიზმრები მაშინ,  
შეგვაშრებოდა თვალეზზე ცრემლი...  
მაშინ ვპოვებდი სულის სიმშვიდეს  
და მამულის წმინდა მიწაში  
განკითხვის დღემდე განვისვენებდი.

### სამშობლოს სიყვარული

დედის რძესავით გვეღვრება სულში  
სამშობლოს სიყვარული.  
და ჩვენს აკვნებთან ნამდერ ნანაში  
ჩაქსოვილია ვით ბრძოლის ჟინი  
სამშობლოს სიყვარული.  
წვიმაა, მთაბს რომ აწვიმს ლამაზად,  
დედის სითბო და მოლოდინია,  
ყველგან რომ გვიცავს, ა ის ლოცვაა  
სამშობლოს სიყვარული.  
ღამის ფერადი სიზმარია,  
შვილის სიყვარულივით ტკბილ-მწარეა  
სამშობლოს სიყვარული.  
მუხლმოდრეკილი ჩვენ რომ ვემთხვევით,  
ჩვენი სამფერა წმინდა დროშაა,  
როცა მოვკვდებით  
თვალეზე რა დაგვაყრიან ,ა ის მიწაა  
სამშობლოს სიყვარული.

### მთვარის ფერში

ამაღამ  
მარტოობის სურნელს  
აფრქვევს აქაურობაც,  
აყვავებული ცის ზედაპირიც  
როგორი უტყვი და მდუმარეა.  
ხელში აყვანილს სადრაც მივყევარ  
ქვად ქცეულ ფიქრებს...  
ამაღამ ის ბადრი მთვარეც  
თხუთმეტი წლის ქალწულს მაგონებს,  
ისიც ჩემსავით  
ეული და მარტოდ-მარტოა.  
მეც უცხო ვარ და უცხოა ისიც...  
ვარსკვლავები  
ყვავილებივით დავკრიფე წელან  
და დავიფინე გულ-მკერდზე ნაზად.  
სამყაროს თვალი გადავავლე  
როგორც ტანჯულმა.  
და სხვა სამყაროც დავიგულე  
ლამის იდუმალ წყვილიადის მიღმა.  
გულში იმედის შუქი ამენტო  
ამ მთვარის ფერში...

*თარგმანი ნელი მამედოვის*



**გულამაილ მურადი**

*1973 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის ნავთობ-  
ქიმიის ინსტიტუტი. 14 წიგნის ავტორია მისი  
ლექსები რამოდენიმე ენაზეა თარგმნილი.  
აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია .*

### წამებულის დედა

შენი დარდი მთას არ მისცე,  
შენი დარდი მთას დაამხოვს,,  
მთასაც აქცევს წამებულად  
შენი დარდი.

დარდი გექცეს ყვავილად და  
დაამშვენოს წამებულთა სამარენი,  
ქარ-ნიავად გექცეს დარდი,  
გამარჯვების მაცნედ იქცეს,  
გაახაროს კარგი ამბით  
წამებულის წმინდა სული!  
დარდი გექცეს ტკბილმოუბარ  
ენად,რომე წამებული  
წამებულთა მწვერვალიდან  
აღამაღლოს  
სიტყვის მაღალ მწვერვალამდე!

ო,დედაო წამებულის  
შენი დარდი მთას არ მისცე,  
მთა ვერ ზიდავს...ვერ გაუძლებს...  
მთასაც აქცევს წამებულად  
შენი დარდით,  
ო, დედა წამებულის.



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ეჰ,მევესება მოთმინების ფიალა,  
ჟამი მიდის, დრო ვერ უძლებს იარას,  
რაც უშენოდ ცხოვრებამ ჩაიარა  
დღე და ღამე წერე ჩემო კალამო.

მე უძილო ღამეები მიწია,  
ვწერე მუზა ღამით როგორ მეწვია,  
ვწერე ლხინი, რა ვქნათ ერთი ბეწოა,  
რა მაწამებს წერე ჩემო კალამო.

ჰე,კალამო,მომიძებნე ბაღი მე,  
შავნაბლანდი აღარა ვარ დაღი მე,  
უნდა ვნახო ჩემი ყარაბაღი მე,  
მას აამე, წერე ჩემო კალამო.

რომ იცოდე, რისი წერა მწადია,  
გამარჯვების მე სიმღერა მწადია,  
ბევრი ლექსის წერა ჯერაც მწადია,  
ოღუნდ რამე წერე ჩემო კალამო.

### ეს გული

რა ჩაათავა ეს სტრიქონები,  
ისევ თვითგვემას მოჰყვა ეს გული.  
ჰგმობს თავის თავს და სცემს თავის  
თავის სიტყვას,  
დასაბმელია, ღმერთო, ეს გული.

მკერდში დაჭრილი მომიჩანს სული,  
სულს ელტვის ისევ გული ბედკრული  
არც კვირტი მოსჩანს, არც ვარდი შლილი,  
როდის იხილავს ყვავილს ეს გული?

თავს რომ მაცვივა ქვა–ღორღი ციდან,  
ეს საფლავის ქვა არ არის წმინდა,  
ნუ შეგეშლებათ, ცრემლს არ ვიწმინდავ,  
თავის ნიაღვარს უშვებს ეს გული.

ვიწვი, არავის არ სჯერა, არა,  
არვინ მიჯერებს, მეცლება ძალა.  
ვბრილადებ ისეთ ჩაუქრობ ალად,  
თავზე იბერტყავს ნაცარს ეს გული.

რა სჯობს, ვინ ტირის, თუ მღერი ერთობ?  
ვინც აღმა–დაღმა მიჰყვება ფერდობს  
რა სჯობს, ის მხოლოდ შენ უწყი, ღმერთო.  
შენ ერთს გაგანდობს სათქმელს ეს გული.

სამშობლოს წერილი მოსწერე, ჯარისკაცო

თქვენ, წამწამებით მესერს რომ ავლებთ,  
და აუღებელ ციხე–სიმაგრეს  
აგებთ მარადის!

თქვენ, სანგარი რომ სახლად იგულვით!  
წერილი მოსწერეთ დედა სამშობლოს,  
რომ მისით გათბეს მშობელი მიწა,  
რომ მიწა გახდეს ბარაქიანი,  
რომ აღორძინდეს ჩვენი დუნია.  
ამ ქვეყანას ხომ

მუხლი არა აქვს რომ მოიყაროს...  
თქვენ მშობლიური მხარის ვაჟკაცნო!  
ჯარისკაცებო!  
თქვენც არ მოიყრით მუხლს არასოდეს.  
წერილი მოსწერეთ დედა სამშობლოს.  
მოსწერეთ...

თხზულება თვითრეული თქვენი წერილი.  
გვეძახის, გვიხმობს  
გამარჯვების მახარობელი  
და ტრიუმფის ლალი სიმღერა...  
ეს სიმღერები წამებულთა სულებისათვის  
არმაღანად იქცეს აწ და მარადის,  
რომელსაც უძღვნის მათ წმინდა სულებს  
მეგობარი ჯარისკაცები...

**მინდა დავიკარგო**

მინდა, თვალთა კრთობაში  
დავიკარგო, წავიდე.  
სიტყვის უსაზღვრობაში  
დავიკარგო, წავიდე.

ეს ქვეყანა ძველია,  
ჩუმი დარდით მწველია,  
შენთან ერთად, ფერიავ,  
დავიკარგო, წავიდე.

ღმერთო, მომეც გაძლება,  
სიტყვა მქონდეს არსებად,  
ჩემი თავი ვეძებო,  
დავიკარგო, წავიდე.

*თარგმანი ნელი მამედოვის*



ადალეთ სალმანი

დაიბადა 1957 წელს. 5 წიგნის ავტორია.  
აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი და  
„ხმლისა და კალმის“ პრემიის ლაურეატია.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ღრუბლიანი ცოდვანი

*(ჩემს თანამოკალმეს თოფივ გარაგაიას)*

ვინ გაუტეხა

ამ ბავშვსა გული,

და ვინ მოწყვიტა მისი იმედის

ქორვა ყვავილი.

და ვისმა ცოდვამ

შებურა მისი

გაზაფხული სევდის ბურუსით.

უმზერს ქვეყანას

ნაწყენი და გულდაკოდილი.

დგას ყველას მიმართ

ზურგმექცეული

ხელჩაქნეული.

და თავისხელა

ღრუბლად ქცეულა საწყალი ბავშვი.

და გამხელილი სჯობია ცოდვა,

ერთ მშვენიერ დღეს

ღრუბლად ქცეული

ჩვენი ცოდვანი

კოკისპირულ წვიმასავით

დაგვაწვიმდება.

ქართველი გოგონას პირველი სიყვარული

*მარნეულში მცხოვრებ ჩემს  
ჯარის მეგობარს  
ტარიელ ხალილოვს*

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,  
არ დაგიდევდით სოფელს ბედივით.  
ერთი ქართველი გოგონას გული  
მე დამაფრინდა მხარზე მტრედივით.

უწვერულვაშო ყმაწვილი ვიყავ,  
და ჯარისკაცი გამოუცდელი.  
მე იქ არ მახლდა დედა, დაიკო,  
თუმცა იმ გოგოს არ მაკლდა ხელი.

არ მშორდებოდა ცხოვრების გზაზე,  
ის კოხტა გოგო, ის ერთი ციდა,  
გეგონებოდა მე ზღაპრულ ფრინველს  
იმ გოგოსათვის ჩამოვყე ციდან.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ირველად გრძნობდა ტრფიალის ნექტარს  
და მილიმოდა მზესავით ტკბილად.  
ის ივიწყებდა თავის დღე-დილას  
და ჩემს დილაზე ფიქრობდა ხშირად.

მეხვეოდა და აზერბაიჯანს  
თავს ევლებოდა ოცნების ფრთებით  
და ჩემზე ფიქრში, ჩემზე ზრუნვაში  
ავიწყდებოდა მას ღვიძლი ძმები.

გულში რომ სევდას არ ჩაებუდა  
მოფრინდებოდა როგორც მერცხალი...  
ეკ, ის დღეებიც გაფრინდნენ უკვე,  
წავიდნენ წლები ვით წვიმის წყალი...

და ჯარისკაცი შეყვარებული  
წლებს გაჰყვა, მერე დამშორდა როგორ...  
ო, ახლა ხშირად გულაჩუყებულს  
მე მახსენდება ქართველი გოგო.

ვერ დაივიწყებ ზღაპრულ სამყაროს,  
თუმც ის ამბავი არ იყო გუშინ.  
ქართველი გოგოს ის სიყვარული  
კვლავ ცოცხალია ჩემს გულის გულში.



# თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

## პოეტ ნურჰაფიზისადმი დანაბარევი

1

ნუ შეგიტყუებთ  
    ჯიბრი ქებათა,  
კარგად შეხედეთ  
    მის ხნოვანებას  
მის სხეულს ანდა.  
... ცოდოა კაცი,  
    ნუ აღაზევებთ  
მწვერვალზე მთათა!

2

შვილის საქებრად  
    ვერ გამოინახე სხვა ადქილი  
    მიწად და ცადა,  
შენ იცი, სულში ცრემლნაღვარმა  
უშვილძირომ  
    რა განიცადა?!

3

ხილის ხის გვერდით  
    აღვას ნუ დარგავთ,  
ის როცა ნაყოფს გამოისხამს  
    აღვა გახმება  
    და მას დაკარგავთ!...

**პოეტ იბრაჰიმხალილს**

შენ ცუდ-უბრალოდ მივიწყებული  
ამ დუნიაზე ველარ ეტევი  
განზე გამდგარხარ  
და გწყდება გული.  
და მიყრდნობილი  
შენს ძველ იმედებს  
ცხოვრობ  
სადღაც გადაკარგული.-  
ეგებ მეც ვინმეს გავახსენდე,  
ვნახო მოსული.

*თარგმანი ნელი მამედოვის*



### ნურაფიზი

*დაიბადა 1958 წელს. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ბაქოში. დამთავრებული აქვს არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტი. 2011 წლიდან არის აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი.*

### საზღვარი

თათარ პოეტს მუსა ჯალილს  
ნატვრას, ოცნებას პოეტისას  
ზღვარს ვინ დაუდებს, -  
უსაზღვრო არი საწიერი  
მისი ოცნების,  
არცა სიყვარულს პოეტისას  
არსად უჩანს ბოლო წერტილი.

არადა, მოხდა -  
ერთ პოეტს რომ ზღუდე მოავლეს,  
ზედ მის ფეხებთან,  
ზედ მის თვალწინ,  
ზედ მის გარშემო,  
ზღვრად აღუმართეს ოთხი კედელი,  
მისი მზერაც და მისი სმენაც  
მოსაზღვრეს, დახშვეს,  
გამოკეტეს ერთი საკნის მდუმარებაში.  
ოღონდ, ეგ არის -  
ვერ დაუდეს მის გულს საზღვარი...  
ვერ დაეტია ერთ ოთახში მისი ლექსები,

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

ერთ ქვეყანაშიც ვერ დაეტია, -  
ზღუდე გაგლიჯა და მოედო ქვეყნიერებას.

ლექსი - ლექსია! –  
საზღვარსა და მიჯნას ვერ იშვინევს,  
ლექსს ვერ დაიჭერ,  
ვერ იქნება ლექსი ტუსადი!

პოეტის ლექსის საწიერი, სამან-საზღვარი  
არის ამქვეყნად -  
ქვეყნიური უსაზღვროება!

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ხმა-ავტოგრაფი

უცხოობაში შთენილ საფლავეებს  
იმედის სხივი ჩაესინათლა,  
უდაბნოების სიზმრეულ თვლემას  
მაღლით ღრუბელმა გადაუარა.

იმ ღამეს იყო - ბეზიაჩემი  
შემოდგომური ფოთლის სიმჩატით  
ჩემს სიზმარში რომ შემოფრიალდა:

- მაგგვარ ლექსს ნულარ წამიკითხავო!..  
რალა დროს შენი ტირილი და წუწუნიაო!

ხმასაც თავისი სურათ-ხატი ჰქონია თურმე,  
ხოლო ავტოგრაფს  
წერენ ალბომში,  
სამახსოვროდ რომ შეინახონ.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

თან წამიყვა, ჩემო კვნესავ!

სილა რო მენა - სიოც გამშლის,  
ქვად ვიქცე და - წვეთიც დამშლის,  
კვნესა დამცდეს - ნაცრად დამფშვნის,  
ქარს გამატანს ჩემი კვნესა.

იგი ჩემში ჩუმად ჩივის  
ხმაში სევდა გამოსჭვივის,  
გადმოლახავს ყველა ტკივილს,  
ცაში აღწევს ჩემი კვნესა.

არ მპატიობს ცოდვას ფირიკ,  
ლექსის წერაც გახდა ჭირი, -  
აღარც მიწამ მიყო პირი, -  
თან წამიყვა, ჩემო კვნესავ!

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### თქვენი სახლის კედლები

კედელ-ყურეს თქვენი სახლისას -  
ტვიფრად ატყვია ზედშემხმარი  
ჩემნი მზერანი.

ღამეთა რიგი,  
ვითა ერთი ობოლი ბავშვი -  
გაჟღენთილი შენი სუნთქვის იასურნელით -  
სცავს და სდარაჯობს  
შენთა თვალთა ძილს, პეპლისებურს.

ერთხელაც ნახავ -  
თქვენი კედლის სიჩუმეზე დანაკიდარი  
უტყვი, უენო სურათების მუნჯურ მზერაში -  
თუ ყვავილივით როგორ გაშლილა  
და როგორ სჭვივის

ჩემი სევდა უშეღავათო,  
ანდათუ, როგორ, მეტისმეტი განცვიფრებისგან,  
დაცხავებულა და დამსკდარა თქვენი კედელი,  
ამის შემდგომ კი,

თუნდაც მასზე სახემიყრდნობით,  
ზედმიკვდომით და გულამოხვინჩვით  
რომც იტირო და ცრემლი აფრქვიო,  
მორჩა, ნამს აღარ მოიკიდებს  
თქვენი კედელი.



### აბდულა ძია

ომიდან,

ანუ, სოფლურად თუ ვიტყვით - “ჩხუბიდან”  
შინ ცალი ფეხით ჩამობრუნდა ძია აბდულა.

მარჯვენა ფეხი იქ დაჰკარგვოდა,  
ილლითლა ეკიდა ომბოხს.

დღეში, სულ ცოტა, ასჯერ მაინც -  
ფიქრში, ნატვრაში,

ბარს აიღებდა, ხეხილისათვის  
ბალახიანი ძირები რომ შემოეგარა.

რა ექნა საწყალს,

მოუვლელად ბევრი გაუხმა.

კიდევაც დიდხანს იცოცხლებდა,

მაგრამ შეშინდა:

ვაი, თუ გულმა ვეღარ გამიძლოს,

ვეღარ დაიდგნოს ამდენი ნატვრა

და საილლიე ჩემმა ომბოხმა

კვირტი გამოსკვნას და

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

ყვავილად გაიშალასო!  
ჰოდა, ერთხელაც  
ჩუმად ადგა ძია აბდულა,  
აიკრიფა გუდა-ნაზადი  
და იმ თავისი მარჯვენა ფეხის  
გზა-კვალს გაუდგა  
აქაობით შეურვებული.

### თარგმანი ზეზვა მედულაშვილი

1. თათარი პოეტი მუსა ჯალილი გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს მოაბიტის ციხეში
2. ფუზული - აზერბაიჯანელი პოეტი (XVII ს.)
3. ფირი - სულიერი მოძღვარი, სალოცავი, წმინდა ალაგი



**რაშიდ ფახრალი**

*დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა აზერბაიჯანის  
პედაგოგიურ და ბაქოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.  
18 პუბლიცისტური და 10 ლექსების კრებულის  
ავტორია.*

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

გოზალდალი – სილამაზის მთა

დაბრუნებულხარ სალამოს პირას,  
დაღონებული ხარ, გოზალდალო.  
მითხარი, ხომ არდაგედო ცრემლად  
ეს ჟინჟლა წვიმა, ახ, გოზალდალო.

ფახრალოს უნდა ეფერო მარად  
და დაამტკნაროგულები წყნარად  
ვინ ამალღდება ქვეყნადშენს დარად,  
ხმა ამოიღე, ხმა გოზალდალო.

იემენიცკა და ჩინეთიც შენით  
მოხიბლულია, ეს ხიბლიც გმვენის.  
მე ამერჩია ყისმათი ჩემი,  
ვერ წამიყვანდა გზა, გოზალდალო.

ცრემლად არასდროს ვქცეულვარ, არა,  
თუმც მონატრებამტანჯავდა მარად  
ფიქრში ვიყავი მხოლოდშენს კარად  
ხარ ჩემი სიტყვის ძნა, გოზალდალო.

ამიბალახდა გზა-კვალი უკვე,  
ჩემივე ცეცხლი მისდევსჩემს შუკვებს.  
უნდა მიმიღო, მოვსულვარ, თუკი,  
სხვა არ გეგონო, სხვა, გოზალდალო!..

მეც მყავდა დედა

იყო დრო, როცა მეც მყავდა დედა,  
მაშინ ღიმილი პირზე ეხატა  
ქვეყნიერებას,ველეებს  
და მინდვრებს,  
იღიმებოდა ყოველი იმ დროს,  
იყო დრო, როცა მეც მყავდა დედა.

იყო დრო,როცა მიქებდნენ სიტყვას,  
მაქებდნენ,დროა, სათქმელი ითქვას.  
დარდს მაცილებდნენ,ვით  
გზიდან დიდ ქვას,  
იყო დრო, როცა მეც მყავდა დედა.

ვერ ვცნობ დარდს,მოსულს  
მოყვასნო,ვერა,  
მეცვლება პირის გემოც კი, მჯერა.  
თითქოს ერთბაშად შეცვლილა ყველა,  
იყო დრო, როცა მეც მყავდა დედა.



### გზად ვარ

დაიძვრება, მოდის ჩუმად,  
რა დაუდგეს, მითხარ, წინა!  
აინთება ჩემი სიტყვა  
თვით გულიდან ენამდინა .

ვინ თქვა შორს ვარ, ვით მზე ხვალის,  
კაცი თავის თავთან არის.  
მეზობელი მეც მყავს კარის  
ნაკვერჩხლიდან ფერფლმადინა.

ვერას მიზამს დარდი ციდა,  
ჭირთა მთმენი მურიდი ვარ.  
მე მივდივა ამ ქვეყნიდან  
იმ მეორე ქვეყ ნამდინა.

დარდი

*(რომანის “დაკარგული ქალის” ავტორს,  
ბატონ ალიბაღა ჰაჯიზადეს)*

თუ გამიღიმა ბედმა უეცრად  
უდარდელობას არ ნიშნავს ესა.  
ეჭვ ვინ აკუწავს დარდს ნაწილ–ნაწილ,  
თუ არ ამოვთქვი სათქმელი ლექსად.

ჩემი სიტყვები დაიზეპირეს,  
ლექსს სულს ვუბერავ ესა მაქვს წესად  
თვალეებზე ლიბრი გადმეკრაუკვე,  
ბინდბუნდის ფერადაღვიქვამ დღესა.

გად ვიქანცე, აღმართ– დაღმართზე,  
ჩემივ სულიდანმომესმისკვნესა.  
ეჭა, წამწამებსმისველებს ცრემლი,  
უმწეოდ ვდგევარ, მოველი მწესა.

გადამეკვანდა ბედის კანაფი,  
არ გამომადგა ქვეყანა კვესად.  
მსოფლიოს დარდიშეუჩინეთ, რომ  
დაადგეს, როგორც მზისშუქი ხესა.



მიღმიდანა

ისევ ღვივის კვლავ ანთია  
ცეცხლი ფერფლის მიღმიდანა.  
ენარცხება კვლავაც კბილებს  
სიტყვა ენის მიღმიდანა.

არა ჰლაფოს ქარმა სული,  
დის მდინარე მეწამული  
ვერა ვნახე მე მამული  
მამულისა მიღმიდანა.

შეიცხადეს,რა გითხარ ეს,  
დიდხანს მჭორეს ამათ მხარეს,  
საფლავიც კი გამითხარეს  
სურვილების მიღმიდანა.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

აგერ ვდგავარ, გზასა ვზვერავ,  
გზად მიმავალს ქვისა მჯერა.  
გაქვავებულ გაყინული  
მზერა მიმზერს მიღმიდანა.

სიტყვას ვთიბავ სიტყვის ძნებთან,  
მხრებს ვიზომავ აზრის მთებთან.  
მე სიცოცხლეს დავეძებ და  
სიკვდილი ჩანს მიღმიდანა.

*თარგმანი იმირ მამედლის*



დილსუზ მუსა

*დაიბადა 1948 წელს. 3 წიგნის ავტორია.*

*აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია.*

გულსა და ენას შორის

არა, არვინ შეაწუხე  
შენი დარდის მოთქმა-თქმითა.  
სიყვარული დაიტირე  
სულის სულში ჩუმი წვითა.

შენ იწვოდი ჩუმი ცეცხლით,  
იღრჩობოდა ბოლში გული.  
თუმცა გაჩნდით ერთი ტრფობით  
არ აღზევდა სიყვარული.

ასე არის ეს ცხოვრება,  
რასაც ელტვი არის შორი.  
შენი წმინდა სიყვარული  
დარჩა გულს და ენას შორის.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### ვერ შევბელი

ვთქვი უშენოდ მოვკვდებო,   
ვერ მოვკვდი და დავრჩი ასე.   
ჩემი გიჟი სიყვარული   
ვერ გავცვალე ვერა, სხვაზე.

გამჭორეს და გავიჭორე   
და ჩავარდი ცეცხლში სწორედ.   
მთის მდინარედ გავცდი ტბორებს   
ვერ გავყავი გული შვაზე.

ჩემი გრძნობა არის უცხო   
შენ გახსენე მარად ურცხვად.   
სხვაგან ვვლიდი, უნდა როცა   
მევლო ტრფობის შარაგზაზე.

ჟამი გასცდა ბევრ გზას ქვიანს,   
საყვედური არის გვიან.   
ბედმა სხვა გზა აირჩია,   
შენ შენს თავთან დარჩი ასე.

ფრინველია ფრთადაჭრილი   
სიყვარული ჩემი შლილი,   
შენს ქორწილში მთლად შეშლილი   
გული გულში დავინავსე.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

სად ხარ ჩემო ბავშობავ?

სად არის ჩემი ძველი სამყარო,  
უზრუნველი და ცასავით სადა.  
ყველგან დაგეძებ მონატრებული,  
ჩემო ბავშობავ, სადა ხარ, სადა?

არ თქვა რიყეზე გამზადებული  
საფლავის ქვაი აქედან არ ჩანს.  
სად ხარ ბავშობავ, სამეზობლოში  
ჩაუმტვრეველი ფანჯარა დარჩა.

ვერ ისვენებდი ერთი წამითაც,  
ბევრს აბეზრებდა შენი ქოთქოთი.  
თუ დაგაკლებდა დედიკო საჭმელს  
მაშინვე ჩუმად იბუტებოდი.

დღეს გულს მითუთქავს ეს მონატრება,  
სადა ხარ, ვერსად მოგაგნებ განა?  
სად ხარ? მთის ფერდზე- „გარა გააზე“  
ნუთუ დამთავრდა დამალობანა?

ოი, რა სწრაფად წავიდნენ წლები,  
გაქრა ბავშობა, მე აქ დავრჩი და  
კვლავ იყურება პატარა ბავშვი  
მოგონებათა ღია ფანჯრიდან...

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### თვალეზი

ღმერთო ჩემო, ეს თვალეზი მაგიჟებს,  
წყაროსავით სულში ჩამედინება.  
ეს მზიანი დილაა, რომ მიყურებს,  
ჩამებუდოს სულში თავად ინება.

ერთი მზერით დარდს გაგიგებს, გაკვესავს,  
ყაყაჩოსებრ ორი შავი ღილია.  
ო ეს შავი, ო ეს შავი თვალეზი  
შავი ყურძნის მარცვალავით ტკბილია.

ჯადოსნური სამყარო აქვს, ფერი აქვს,  
ხან გაგყინავს, ხან დაგთუთქავს თვალეზი.  
განა ვინმე გაიმეტებს მის ზეცას?!  
მაგ თვალეზში ვარ და ვენაცვალეზი.

წამწამთ ჯარი ავთვალმა ვერ გათვალოს,  
უფლისაგან უძლეველი გული აქვს.  
ბაქიეზი უმაღ ემონებთან,  
ის თომრისზე უფრო მედიდურია.

ზღაპარია, სიზმარი, თუ მართალი?!  
წყაროს შხეფებს ვით ქარის ფრთას მახლიდა.  
სამყაროა სამყაროში თვალეზი,  
ეს სამყარო შემყვარდა ახლიდან.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### გულში

დაგინახე დაღვრემილი,  
დამჰკნარიყო სახე შლილი,  
ცრემლსა ღვრიდი ვით შეშლილი  
დამემდულრა მყისვე გული.

ვერა ცხრება ქარი, ვერა,  
აღმართი გაქვს გრძელ გზად ჯერაც.  
სევდიანი შენი მზერა  
დარდადა მაქვს გულს ჩაკრული.

ბურუსში ვჰვრეტ შენს ლად ფრინველს,  
გნახოს, ველარ გიცნობს ვინმე.  
გაგეყრები და მაშინვე  
წლად მექცევა წამი კრული.

ანგელოზო დარდით სავსე,  
ცრემლი დაგდის ორთავ თვალზე,  
ნაზი ია შენი მზგავსი  
მკერდში მიძევს როგორც სული.

*თარგმანი ნელი მამედოვის*





### საბირ მუსთაფა

*დაიბადა 1939 წელს. პოეტი და მთარგმნელია. აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრია. დღემდე 16 წიგნი აქვს გამოცემული.*

### თურქ ოფიცერს

გშვენის ნაღდი კაცობა,  
ღმერთმა ასე ინება.  
გულუხოზა მარადის  
არის შენი ბუნება.  
ჩემს მშობლიურ ზეცაში  
ვარსკვლავების მძივია.  
მზის ნათელში ჩაწნული  
ჩემი ჯარის სხივია.  
შენი შუბლის ნაოჭი  
მწამს სასაზღვრო ხაზია.  
ღიმილი შენს ტუჩებზე  
გულივით ლამაზია.  
ვიდრე ავი ავია,  
ვიდრე დადის კარდა-კარ,  
შენ მშვიდობა გსურს, მაგრამ  
ომისთვისაც მზადა ხარ.  
ხალხი ხარობს თუკი ჰყავს  
ოფიცერი ქებული,  
ჯარისკაცი უძლევი,  
ჯარი გამარჯვებული.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

### შუშა

მთაა შენი იმედი და  
მთებმა დარდი მოგიშუშა.  
ღია გულით, ღია კარით  
მოკაზმულხარ, ჩემო შუშა.

შენს წარსულზე კვლავ ღაღადებს  
სალი კლდე ვით სლიპი შუშა,  
შენს გამოვლილ ჭირს და ვარამს  
ვითვლი და ვწერ, ჩემო შუშა.

წალკოტები გიღიმიან,  
ტყე-ღრეები დგანან ქუშად.  
ტურფანი ვით ჯეირანნი  
გულს ანთებენ, ჩემო შუშა.

შენ ხარ ციხე სიმაგრე და  
ბევრი ზრახვა ჩაიფუშა.  
მეგობართა სამმო ხარ და  
გულღია ხარ, ჩემო შუშა.

საბირი ვარ, ფრინველივით  
გელტვი, შორს ვარ, არაუშავს.  
მოვალ და თავს განაცვალე,  
შემოგელვო, ჩემო შუშა.

## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

\*\*\*

ხან წვეთი ვარ, ხან სამყარო,  
ხან შხამი ვარ, ხან მალამო,  
ხან ლხინი, ხან დარდი ვარო,  
მე ვიცვლები როგორც ქარი,  
ეს ცხოვრება ესე არი.

ხან მშიერი, ხან მამლარი,  
ხამ ბურთი ვარ, ხანაც კარი,  
დღეს ცოცხალი, ხვალე მკვდარი,  
მე ვიცვლები როგორც ქარი,  
ეს ცხოვრება ესე არი.

არ დავდრკები, ვარ უჟამოდ,  
ვეტრფი სატრფოს გულს საამოდ.  
ერთგული ვარ სამუდამოდ.  
მხარს არ ვიცვლი როგორც ქარი,  
ეს ცხოვრება ესე არი.



## თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

სულს რომ დაეფინება.  
ძილიც მალამოსავით  
აქ აგავსებს სიკეთით,  
ჩამეძინა  
და უცებ  
ძილში ბავშვად ვიქეცი.

### ჩემოდნები

ავტომობილი...  
მიჰქრის გზაზე.  
საბარგულში ორი ჩემოდანით  
ერთი ცარიელი, მეორე სავსე,  
ცარიელი ხმაურობს,  
დახტის,სულ არ ისვენებს.  
სავსე წყნარად იყურება,  
დუმს.  
ვუყურებ...  
ვფიქრობ, მათ ყოფაზე,  
თურმე როგორ ჰგავს  
კაცი დროსა და  
ჩემოდანი კი ადამიანებს..

*თარგმანი ნელი მამედოვის*

სარჩევი

- 7. მეთლებ აღა
- 13. ნაზიმ შახი
- 17. სეჰერ ახმედი
- 23. აქბარ გომალი
- 31. რასმია საბირ
- 37. გულუ აღსესი
- 43. ნურანე ნური
- 49. რაფიგ გუმბათი
- 55. დეანეთ ოსმანლი
- 67. ვასიფ სულეიმანი
- 71. ფაიგ ბალაბეილი
- 77. ელჩინ ისკანდერზადე
- 83. თაჰდიგ იოლჩუ
- 89. გაშამ ნაჯაფზადე
- 95. ილჰამ გეჰრამანი
- 103. ელესკერ თალიბოღლუ
- 111. გულამაილ მურადი
- 117. ადალეთ სალმანი
- 123. ნურაფიზი
- 131. რაშიდ ფახრალი
- 139. დილსუზ მუსა
- 145. საბირ მუსთაფა

# თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია

---

სურათი გარეკანზე  
(ცასა და მიწას შორის)  
ნაზიმ შახი

საზოგადოებრივი გაერთიანება  
“თურქული სამყაროს ინფო”  
ემაილი: osmanli.d@gmail.com  
ტელ.:(+99450) 351 54 70

---

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან  
არსებული არა სამთავრობო  
ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდამჭერი საბჭო  
შპს „გამომცემლობა ასო“ – ში იქნა გამოცემული  
გამოსაცემად ხელი მოეწერა: 15.10.2015

ტირაჟი: 350/ დაკვეთა 348  
152 გვ.

ქ.ბაქო,ბაქიხანოვის დას. თელმანის ქ. 6  
ემაილი: qhtnesriyyati@gmail.com  
ტელ.:(+99412) 429 85 87  
www.nesriyyat.com